# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 მაისი 2004 №102 (2121) ფასი 50 თეთრი


# უასლანოდ ასლამაზი
## არ გეწყინოს, დინამო
# დღეს საქართველო ქომაგობს ბათუმს




[illegible] ფოტო

იხარეთ, ბათუმელებო! ასლან აბაშიძემ თან ბევრი წაიღო, მაგრამ თავადაც წავიდა და მთავარიც ესაა. მშვიდობა იყოს ჩვენს ოჯახებში!

გიორგობა დღეს ბათუმელები თბილისშიც ზეიმობდნენ. არეულობას და უფულობას აჭარიდან დედაქალაქში გამორიდებულმა საქართველოს სამგზის ჩემპიონმა „ბასკომ" საკალათბურთო ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალში „სტუ-ჯეოსელი" მეორედ და საბოლოოდ დაამარცხა და ხუთწლიან არსებობაში მეხუთედ გავიდა პლეი ოფის ფინალში. ბათუმელები საჩემპიონო ბრძოლაში ზედიზედ მესამედ დაუპირისპირდებიან მოქმედ ჩემპიონ „დინამოს".

ამასობაში, როცა ბათუმის ქუჩები ხელთოფიანი და სახედამალული ხალხისგან გაიწმინდა, „ბასკოს" ფინალში შინაური მატჩების შინ და არა თბილისში გამართვის იმედი მიეცა. თანაც, ხომ არ დაგავიწყდათ, „ბასკო" მოედნის უპირატესობას ფლობს და „დინამოს" გაუჭირდება ალტკინებული აჭარიდან გამარჯვების წამოღება.

# დაიღალეთ, სერ?
## შავგვრემანი ფინალი ქერა ქალაქში



„მარსელის" მწვრთნელ ქოზე ანიგოს დიდიე დროგბამ ძალიან გაუმართლა

REUTERS მარსელიდან



ბობი რობსონის ოცნებას, მშობლიური „ნიუკასლისთვის" უეფას თასი მოეპოვებინა, თურმე ასრულება არ ეწერა. ჯორდთა მხცოვან მწვრთნელს „მარსელის" ფორვარდმა დიდიე დროგბამ გაუმწარა სიბერე. კოტდივუარელმა გუშინ ორი უპასუხო გოლით გაისტუმრა ინგლისელები კუნძულზე, თავად კი 19 მაისს გიოტებორგს ესტუმრება, სადაც უეფას თასს „მარსელი" და „ვალენსია" შეეცილებიან ერთმანეთს. დიახ, „ვალენსია", რომელმაც გუშინ „ვილიარეალს" მისტას პენალტით გატანილი გოლით აჯობა.



ბობი რობსონს და ალან შირერს უეფას თასი გვერდზე დარჩათ




REUTERS მარსელიდან

## უეფას თასი

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ**

*ვალენსია* (ესპანეთი) 1:0 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:0)
1:0 მისტა (16 პენ)
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მარჩენა (პელეგრინო 73), აიალა, გარიდო, სისოკო (ვისენტე 62), ალბელდა, ბარახა, ხისკო, ანგულო, მისტა (აიმარი 78)
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, კოლოჩინი, ალვარესი, არუაბარენა, ხოსე მარი, ხოსიკო (გიარე 86), ბატალია, როხერი, რიკელმე, ანდერსონი
გაფრთხილება: მარჩენა, ბარახა, ალვარესი, კოლოჩინი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
55 000 მაყურებელი

*მარსელი* (საფრანგეთი) 2:0 ნიუკასლი (ინგლისი) (0:0)
1:0, 2:0 დროგბა (18, 82)
მარსელი: ბარტეზი, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, ლეიტე, ფლამინი, ნდიაიე, დოს სანტოსი, დროგბა (ვახოუშეკი 90), მარლე (ბატლესი 81), მერიემი
ნიუკასლი: გივენი, ჰიუზი, ობრაიენი, ბრამბლი, ბერნარდი, ამბროზე, ვიანა (ბოიერი 65), სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი
გაფრთხილება: ბეიე, ფლამინი, ობრაიენი, ვიანა, ბოიერი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
59 887 მაყურელები

ფინალი. 19 მაისი. გიოტებორგი
ვალენსია — მარსელი

# დროგბას კოლექციას ვალენსიაღა აკლია

ო ლა-ლა, ისევ ფრანგები. ჩემპიონთა ლიგის მსგავსად, უეფას თასის ფინალშიც ფრანგული გუნდი გავიდა. „მარსელმა" შინაურ „ველოდრომზე" ხალხნაკლული „ნიუკასლი" წააქცია. „კაჭკაჭებმა" ძირითადის ხუთი მოთამაშე ვერ ჩაიყვანეს მარსელში. ყველაზე დიდი დანაკლისი ინგლისელთათვის კრეიგ ბელამი გახლდათ, ვის გარეშეც ფრთამოტეხილივით იყო ალან შირერი. მასპინძლებს კი ყველაფერი გამოუვიდათ, უფრო სწორად კი დიდიე დროგბას, ვინაც სიტყვა შეასრულა და მატჩისწინა დანაქადნებს, მეტოქეს კარს შევუმუსრავო, საქმეც მიაყოლა. დროგბა შეუჩერებელი გახლდათ. ორი გოლი ხომ გაიტანა და ამის შემდეგაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა ინგლისელებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დროგბა უნიკალურ შედეგზე მიდის, თუკი ფრანგმა ფინალშიც გაიტანა, მაშინ კარგ კოლექციას მოუყრის თავს, რაკილა უეფას თასის ამ გათამაშებაში ყველა მეტოქისთვის ექნება გატანილი.

ფრანგთა გუშინდელ გამარჯვებაში დიდი წილი სტივ მარლემაც დაიდო. მარლე ძალიან სასარგებლო იყო, საგოლე შეტევებშიც მონაწილეობდა და თავადაც რამდენჯერმე შეეძლო გატანა.

„მარსელის" მეტოქე ფინალში „ვალენსია" იქნება. რაფა ბენიტესის შეგირდებმა მისტას პენალტით დაამარცხეს „ვილიარეალი".

ერთი შეხედვით, „ვალენსია" ამ მატჩის ფავორიტი იყო, რაკილა ვილიარეალური მატჩი უგოლოდ ჰქონდა ნათამაშები, თანაც მეტოქეზე გაცილებით მაღალი კლასის გახლავთ, თუმც ვალენსიელთა ფავორიტობას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. საქმე ისაა, რომ ბენიტესის გუნდს პრიმერადივიზიონში „ვილირეალთან" საგარეო მატჩი აქვს დარჩენელი, რაც ჩემპიონობისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. ამიტომაც ითქვა, „ვალენსია" „ვილიარეალს" უეფას თასის ფინალში გაატარებს და სანაცვლოდ საპრიმერო სამ ქულას ჩაიჯიბავსო... „ნიჭიერ პროგნოზისტთა" ეს მოსაზრება რაფა ბენიტესმა ჯერ კიდევ მატჩის წინ გახადა საეჭვო — ორი საათი დაივიწყეთ პრიმერადივიზიონი და სატურნირო ცხრილი, ჩვენ უეფას თასის ფინალში უნდა გავიდეთ — შეუძახა მწვრთნელმა შეგირდებს.

დაივიწყეს და გავიდნენ...

**პაატა ქვანტალიანი**



ვალენსიელთა გამარჯვების გოლი მისტამ გაიტანა

REUTERS



დიდიე დროგბას დუბლმა ფრანგებს სიხარულისგან ლამის „ველოდრომი" გადააწვევინა

REUTERS

# დემეს ფრთებიც შეასხეს ბრიუგეს და სატურნს კრილია შეუერთდა



**გიორგი დემეტრაძის** მსურველ კლუბთა რიცხვს რუსული „კრილია სოვეტოვი" შეემატა. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელის პირადმა მენეჯერმა გაავრცელა. მისი თქმით, დემეტრაძე სავარაუდოდ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს დონეცკის „მეტალურგს", თუმც სად გააგრძელებს კარიერას, ჯერაც უცნობია.

დღესდღეობით დემეტრაძე 13 გოლით უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებს ლიდერობს და „კრილიას" გარდა მისით კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. მათ შორისაა ბელგიური „ბრიუგე" და რუსული „სატურნი".

შეგახსენებთ, რომ „ბრიუგეს" ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში სურდა ჩვენებურის შეძენა, მაგრამ ეს ტრანსფერი მაშინ არ შედგა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ბელგიელებს დემეტრაძის მიმართ ინტერესი არ განელებიათ და მოლაპარაკებების განახლებას აპირებენ.

მენეჯერმა ისიც თქვა, რომ „კრილიამ" და „სატურნმა" მის კლიენტს უკვე კონკრეტული წინადადებებით მიმართეს. გიორგი კი პასუხს არ ჩქარობს.

**კახა შალამბერიძე**

# მეტალურგებმა ქვა ააგდეს და მოდებაძის თავი შეუშვირეს



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძისთვის ეს სეზონი ალბათ მუდამ ავადმოსაგონარი იქნება. ტრავმებისგან გატანჯულს წლეულს მოედანზე გასვლა არ ღირსებია და კლუბშიც გვარიანად აეწეწა საქმეები. ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" ჩვენებური ისე მოიძულა, რომ ხეირიან პასუხსაც არ აძლევდა.

ცოტა ხნის წინ მოდებაძეს კლუბის დატოვებაც უნდოდა, მაგრამ „მეტალურგმა" ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ჩალის ფასად ვერ შეგელევითო. საკვირველი ის იყო, რომ ზაპოროჟიელები ქართველ თავდამსხმელზე ფასის დადებასაც ერიდებოდნენ და ასეთ შემთხვევაში რომელი კლუბი გამოიდებდა თავს?!

ახლა კი „მეტალურგმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ მოდებაძეს ტრანსფერზე აყენებს. ჩვენებურის შეძენა ჯერ არც ერთ კლუბს არ გადაუწყვეტია, თუმც ასეთთა ვინაობა გაზაფხულის დამდეგს ორი იყო — თბილისის „დინამო" და „თბილისი".

**კახა შალამბერიძე**

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა
პირველი ტური
ალიანსი 1:0 ინტერი

### შვედეთი
ალსვენსკა
მეექვსე ტური
მალმიო 0:0 აიკ

### ირლანდია
პრემიერლიგა. მეათე ტური
დუბლინი 0:1 კორკ სიტი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

| |
|---|
| ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) 2:2 მონაკო (საფრანგეთი) (1:3) |
| 1:0 გრონკიაერი (22), 2:0 ლამპარდი (45), 2:1 იბარა (45), 2:2 მორიენტესი (60) |
| ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი (ჯონსონი 64), გალასი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, ლამპარდი, ჯერემი (პარკერი 69), კოული, ჰასელბაინკი (კრესპო 69), გუდიონსენი |
| მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი |
| მონაკო: რომა, გივე, როდრიგესი, სკილაჩი (პლასილი 46), ევრა, იბარა, ბერნარდი, სისე, როტენი, ჟიული (პრსო 67), მორიენტესი (ნონდა 81) |
| მწვრთნელი: დიდიე დეშანი |
| გაფრთხილება: ევრა (40), გრონკიაერი (45), ბერნარდი (48), როტენი (55), კოული (65), ჯონსონი (82) |
| მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი) |
| 37 132 მაყურებელი |

# ღარიბი მდიდრები

## დეშანმა მაურინიუს ჯერ კოჭი გაუგორა

„მონაკომ“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების პირველ დღეს ბურთი რომ გააგორა, მიზნად მხოლოდ ერთი რამ, ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდილებით გამდიდრება ჰქონდა დასახული. ახლა, 26 მაისს გამოცდილებით გამდიდრებული ეს მოთამაშეები „პორტუს“ შეხვდებიან, ხოლო მოედნის კიდესთან არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონთა თასი იდება – „მონაკო“ ფინალშია!

როგორი შთაბეჭდილება დატოვა მონაკოელებზე „ჩელსისთან“ გამართულმა საპასუხო ნახევარფინალურმა მატჩმა, რომელშიც 0:2-ს აგებდნენ და 2:2 ითამაშეს? 0:2-ზე ისინი ხომ ეთიშებოდნენ გათამაშებას.

როგორი შთაბეჭდილება დატოვა იმავე მატჩმა დამარცხებულ ლონდონელებზე, რომელთაც, ფაქტობრივად, ფინალის გზიდან მობრუნება მოუხდათ?

გთავაზობთ ციტატებს „სტემფორდ ბრიჯზე“ გამართული პრესკონფერენციიდან.

**პაპუნა ძეძია**



ფერნარდო მორიენტესმა თავისი მაინც გაიტანა



# დიდიე დეშანი

რაღაც ძალიან უჩვეულო, საგანგებო ამბავი მოხდა. „მონაკო“ ხომ მეტად ახალგაზრდული გუნდია, სეზონის დასაწყისში ვამბობდით, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი პირველი გამოსვლა გამოცდილების შესაძენად დიდებული იქნებოდა, მაგრამ საბრძოლო სულისკვეთებისა და ნიჭიერების წყალობით აგერ, ფინალში გავედით, რაც, როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, ლოგიკური ყოფილა. დღესაც ჩინებულად ვითამაშეთ. მატჩის ბედი კი ჩვენმა პირველმა გოლმა გადაწყვიტა. იმ მომენტისთვის „ჩელსის“ უკვე ძალიან დიდი ენერგია ჰქონდა დახარჯული, რის გამოც მასზე ამ გოლის გაშვებამ სერიოზულად იმოქმედა, ჩვენ კი პირიქით, დამატებითი ენერგია მოგვიზღვავა. ერთი სიტყვით, თამაში მთლიანად შეიცვალა, ჩვენ მეორე ტაიმში უკვე შევძელით სასურველი, წარმატების მომტანი ფეხბურთის თამაში. არადა, მატჩი ცუდად დავიწყეთ, 0:2-ს ვაგებდით. მეორე მხრივ, 0:2-მა ჩემი ბიჭები შებოჭილობისგან გაათავისუფლა, ხოლო ლონდონელები პირიქით, დაძაბა. მათ დაინახეს, რომ სასურველი ანგარიშით იგებდნენ და დაიძაბნენ, რათა რეალური შანსი რაიმე მიზეზის გამო ხელიდან არ გაეშვათ. აღსანიშნავია, რომ „ჩელსი“ დიდი გუნდია და დღესაც ჩინებულად ითამაშა. ახლა წინ ფინალია და გასაგებია, რომ „მონაკოს“ თასის მოპოვების დიდებული შანსი აქვს, მაგრამ არ მავიწყდება, რომ ჩვენი მეტოქე იქნება ისეთი პატივსაცემი გუნდი, როგორიცაა „პორტუ“. „პორტუს“ გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს, ამ გუნდმა შარშან უეფას თასი მოიგო და გულწრფელად, ყოველგვარი ჩანაფიქრის გარეშე გეუბნებით, რომ ფავორიტია.

## ფერნანდო მორიენტესი

ესპანელი ვარ და მინდოდა ფინალში ესპანური გუნდი, „დეპორტივო“ შეგვხვედროდა, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ უფრო ძნელი თამაში მელოდა. ახლა ფინალში ვართ. ეს „მონაკოსთვის“ ისტორიული შედეგია, ფინალში გასვლას ყველაზე კარგ სიზმარშიც ვერ ვხედავდი. ამაზე მეტი რაღა უნდა მოსთხოვო გუნდს? ბუნებრივია, ბედნიერი ვარ და „პორტუსთან“ გადამწყვეტ შეხვედრაზე ვფიქრობ.

## ჯონ ტერი

ძალიან ცუდია, რომ ამ სეზონში ვერაფერი მოვიგეთ, მაგრამ რა გაეწყობა, ფაქტია და უნდა დავივიწყოთ, უნდა დავივიწყოთ დღევანდელი თამაშიც. ამ თამაშს ვიგებდით, ანგარიშიც საჩვენო იყო, მაგრამ უცბად ყველაფერი აირია და ორი გოლი გავუშვით. მე უკვე კარიერის ბოლო წლები მიდგას და მინდა ტიტულები მოვიგო. სხვათა შორის, „ჩელსიში“ ტიტულების მოგებაზე რომან აბრამოვიჩის მოსვლამდეც ფიქრობდნენ, მოგების სურვილი აბრამოვიჩს არ გაუჩენია.

## ჯო კოული

მნიშვნელოვანი თამაშის წაგების შემდეგ გასახდელში შესვლა საშინელებაა. იმ წუთებში გასახდელზე ცუდი ადგილი არ არსებობს, თუმცა ფეხბურთის ამბებსაც ამავე მომენტში სწავლობ. სწორედ ასეთ დროს იგებ როგორი პიროვნება და პროფესიონალი ხარ.





კარლო კუდიჩინი ანდერს ფრისკს უმტკიცებდა, უგო იბარამ გოლი ხელით გამიტანაო

# კლაუდიო რანიერი



მატჩის მიმდინარეობა „მონაკოს“ პირველმა გოლმა შეცვალა. პირველი ტაიმი 2:0 რომ დასრულებულიყო, შესვენების შემდეგ სულ სხვა თამაშს ნახავდით, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ფრედ ვითამაშეთ და ძალიან ძლიერ გუნდთან დავმარცხდით. რა მეთქმის, ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, ისინი დიდებულად თამაშობდნენ. ვხვდები, როგორ გუნება ზეც არიან ისინი ახლა. რაც შეეხება რომან აბრამოვიჩის ჩადებულ ფულს და უკუგებას, ასე მოგახსენებთ: ბევრ კლუბს დაუხარჯავს დიდძალი ფული, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე ვერ მისულან. აბრამოვიჩის ფული სწორადაა დახარჯული. ის მატჩის შემდეგ გასახდელში ჩამოვიდა და თქვა, შემდგომში უკეთეს შედეგს მივიღებთო.





ედგარ დავიდსს ფრანჩესკო ტოტი „რომაში" ეპატიჟება

# მოიყვანეთ დავიდსი, თორემ წავედი რეალში!

## შენ მხოლოდ ტოტი ხარ

„**რომას**" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ ერთობ საინტერესო ინტერვიუ მისცა „გაძეტა დელო სპორტს". გუნდის და სრულიად იტალიის მთავარმა ვარსკვლავმა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი თუ ულტიმატუმის მაგვარი წამოაყენა, მოახლოებული სატრანსფერო სეზონზე „რომას" ან ვარსკვლავებით გააძლიერებენ ან „რეალში" წავალო.

„როგორც ვხედავ, ვალტერ სამუელს და ემერსონს ვყიდით. არადა, ეს ორი ფეხბურთელი უმაღლესი დონისაა და საჭიროა ისინი მათივე სიძლიერის ხალხით შევცვალოთ" — თქვა ტოტიმ, რომელიც აგერ უკვე ერთი წელიწადია, აღარ მალავს, რომ თავს კონტინენტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს, ოღონდ საყოველთაო აღიარება თუ სიძლიერის დამადასტურებელი ტიტულები აკლია, რაც მისი რწმენით „რომას" სისუსტის ბრალია.

„ვისურვებდი, რომ „რომამ" „ოსერიდან" ფილიპ მექსეში გადმოიყვანოს. ამ მცველზე დიდი ამბები მსმენია — განაცხადა ტოტიმ — თუ საქმე ემერსონის შეცვლას ეხება, მის შემცვლელად ერთადერთ ადამიანს, ბარსელონელ ედგარ დავიდსს დავასახელებდი. ეს იდეალური იქნებოდა. ძალიან მომწონს „უდინეზეს" მარეკ იანკულოვსკიც, ხოლო თავდასხმაში კრისტინ ვიერიზე ვფიქრობ. ჩვენთან რომ თამაშობდეს, ვიერი 40 გოლს გაიტანდა".

მაგრამ ტოტიმ, ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ „რომას" ფინანსური მდგომარეობა ამდენი და ასეთი დონის მოთამაშეების ყიდვის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ თუ ტიტულების მოპოვება სურს, თავად უნდა გადავიდეს დიდ კლუბში.

„ამ საკითხზე ნამდვილად უნდა დავფიქრდე — თქვა „რომას" კაპიტანმა — ევროპის ჩემპიონატიდან რომ დავბრუნდები, შევხედავ, როგორ მიდის საქმე და მერე გადავდგამ კონკრეტულ ნაბიჯს. ისე, ერთადერთი გუნდი, რომელშიც გადავიდოდი, მადრიდის „რეალია". „რომას" ქომაგებს სხვა იტალიურ გუნდში გადასვლით ვერ ვუღალატებ".

თავისი კაპიტნის ასეთი თამამი გამოსვლა უყურადღებოდ არც კლუბის ხელმძღვანელებს დაუტოვებიათ. კერძოდ, „რომას" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ განაცხადა, რომ სატრანსფერო საქმიანობაში დახმარება არ სჭირდება:

„დიდი მადლობა რჩევებისთვის, მაგრამ გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ. საერთოდაც, ჩვენს კლუბში ყველას თავისი საქმე აქვს. ტოტის საქმე ყოველ კვირას მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაშია. მას მართლაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა, მაგრამ მისი ამოცანა კლუბში ბურთაობით ამოიწურება".

**პაპუნა ძიძია**

# ატლეტიკო ტორესის გაძვირებას ელის



## სერესომ არ აკენკა

**ბოლო** ცნობების თანახმად, ტურინის „იუვენტუსმა" მადრიდის „ატლეტიკოს" ფერნანდო ტორესის სანაცვლოდ ოთხი ვარსკვლავი შესთავაზა, მაგრამ ესპანურმა კლუბმა მოლაპარაკებაზეც კი უარი განაცხადა.

მოგეხსენებათ, ტორესი მხოლოდ 20 წლის არის, მიმდინარე სეზონში მისმა თამაშმა იტალიისა და ევროპის ერთ-ერთი უდიდესი გუნდი, „იუვენტუსი" ისე მოხიბლა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთობ შთამბეჭდავი ნაბიჯიც გადაადგმევინა: ამ მოთამაშეში პაოლო მონტერო, მაურო კამორანეზი, იგორ ტუდორი და მარსელო სალაიეტა შეათავაზებინა.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსი" ტორესის შეძენის საქმეში ისე აქტიურობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „მილანს" დაასწრო „ატლეტიკოსთვის" წინადადების გაგზავნა, თუმცა მადრიდელთა პრეზიდენტისგან, ენრიკე სერესოსგან ასეთი პასუხი მიიღო:

„მსოფლიოს ნებისმიერი კლუბისთვის ტორესის გამო ჩვენს კარზე დაკაკუნება აზრსმოკლებულია, რადგან არ გავუღებთ".

„იუვენტუსმა" მოლაპარაკებების დაწყება იმიტომაც იჩქარა, რომ კარს ევროპის ჩემპიონატია მომდგარი, სადაც ტორესი უეჭველად გაიბრწყინებს და საყოველთაო ინტერესის საგანი გახდება, თანაც ძალიან გაძვირდება.

სერესო: „სულელები უნდი ვიყოთ, ის ახლა რომ გავყიდოთ. ეჭვი არ მეპარება, პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე ტორესი დიდებულად ითამაშებს და მისი ფასი ძალიან გაიზრდება".

ერთი ხნის წინ, იტალიისა და ესპანეთის ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) ტორესმა უკვე მიიპყრო ევროპაში საგანგებო ყურადღება.

**პაპუნა ძიძია**

# მილანს დაცვა გაუძლიერდება

**ჰოლანდიელი** მცველის, იაპ სტამის აგენტმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მისი კლიენტი მომავალი სეზონიდან „მილანის" მაისურით ითამაშებს.



იაპ სტამი

„სეზონის ბოლოს სტამი „ლაციოდან" წავა — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ვან გინკელმა — „მილანთან" ორწლიანი ხელშეკრულება მოვამზადეთ. როგორც კი კლუბებს შორის ყველაფერი ნათელი შეიქნა, ჩვენ ჩვენი წილი პირობები შევათანხმეთ".

თუმცა საუბრის ასეთი ტონის მიუხედავად, ხელმოწერილი ჯერ არაფერია.

შეგახსენებთ იმასაც, რომ სტამისა და „მილანის" მოლაპარაკებებზე უკვე კარგა ხანია, ჭორაობდნენ. ჰოლანდიელმა ხომ რამდენიმე თვის წინ განაცხადა, სეზონის ბოლოს აუცილებლად დავტოვებ რომაულ კლუბსო, რის შემდეგაც ატყდა ერთი ამბავი, თითქოს იგი სამშობლოში ან ინგლისის პრემიერლიგაში ბრუნდებოდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ სტამის კონტრაქტით ყველაზე მეტად „მილანის" იყო დაინტერესებული.

ეჭვი არ არის, იაპ სტამი მილანელთა ისედაც უძლეველ ცენტრალურ დაცვას (პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა) ერთიორად გააძლიერებს.

**პაპუნა ძიძია**

# გიოტცი ნაღდია, ელბერი საეჭვო



ფალკო გიოტცი



ჯოვანი ელბერი

**ბუნდესლიგის** დამთავრებამდე სამი ტური რჩება, ბერლინის „ჰერტა" კი ელიტარულ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

ბერლინელებს იმედი აქვთ, რომ მიზანს მიაღწევენ, ალბათ, ამიტომაცაა, კლუბის გენერალური მენეჯერი დიტერ ჰიონესი ფანებს აქედანვე რომ ჰპირდება, ახალი სეზონიდან მწვრთნელად ფალკო გიოტცს დავნიშნავთ, თავდასხმას კი ბრაზილიელი ჯოვანი ელბერით გავაძლიერებთო.

მოკლედ, საქმე ასეა: მწვრთნელ ფალკო გიოტცის ამბავი უკვე გადაწყვეტილია. 42 წლის გიოტცმა ორწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა, მის თანაშემწედ კი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ანდრეას ტომი იმუშავებს.

მოდით, გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 2002 წლის თებერვალში, როცა იურგენ რიობერი დაითხოვეს, გიოტცმა სეზონის ბოლომდე დროებით ჩაიბარა „ჰერტა". ჩემპიონატის დასრულებამდე 13 ტური იყო დარჩენილი, მაშინაც გასავარდნად განწირულმა გუნდმა 9 თამაში მოიგო და უეფას თასის საგზურიც მოიპოვა.

ბოლოს გეტყვით, რომ ფალკო გიოტცი რაც წლეულს „მიუნხენ 1860"-დან დაითხოვეს, უმუშევარი იყო.

ახლა ჯოვანი ელბერზე. ბრაზილიელი „ლიონით" უკმაყოფილოა. ჯოვანის თურმე დღემდე სტანჯავს ბუნდესლიგისადმი ნოსტალგია, „ბაიერნიდან" უსამართლოდ გამიშვესო. რაღა მაინცდამაინც „ჰერტა"? ელბერის მოტივი ასეთია, მიუნხენელებს ბერლინელებთან თამაში ყოველთვის უჭირთ და შურსაც ჩემებურად ვიძიებო. 32 წლის ბრაზილიელს „ლიონთან" კონტრაქტი 2005 წლის 30 ივნისს ეწურება. ჰოდა, ჰიონესსაც ჯიბეზე ხელის გაკვრა აუცილებლად მოუწევს. ფრანგები ფორვარდს კომპენსაციის გარეშე რომ არ გაუშვებენ, ცხადზე უცხადესია, მაგრამ გაუშვებენ კი?

**გიორგი ვაშაძიძე**

## თურქეთი

### თასის ფინალი

**ტრაბზონი 4:0 გენჩლერი**

1:0 მეჰმეთი (23), 2:0, 3:0 კარადენიზი (70, 77პ), 4:0 აჰინფული (89პ)

„ტრაბზონსფორმა" ქვეყნის თასი მეშვიდედ მოიგო. „შავი ზღვის ქარიშხალმა" (ტრაბზონელთა მეტსახელია) ანკარის „გენჩლერბირლიგი" თასის ფინალში ზედიზედ მეორედ დაამარცხა — შარშან 3:1 სძლია, ამჯერად კი დედაქალაქელები დიდი ანგარიშით გაანადგურა.

თურქეთის ნაკრების თავდამსხმელმა გოკდენაზ კარადენიზმა ერთი საგოლე პასი და დუბლი მიითვალა. ანგარიში მეჰმეთ ილმაზმა პირველ ტაიმში გახსნა. კარადენიზმა მოხდენილი თავურით ანკარელებს მეორე გაუტანა, შემდეგ კი პენალტი გამოიყენა. ამ მომენტიდან ორ წუთში კარადენიზი და „გენჩლერბირლიგის" ელ საკა ერთმანეთს დაერივნენ. მოედანზე ჯგუფური ჩხუბიც ატყდა, მაგრამ მსაჯმა არავინ დასაჯა.

მოგვიანებით ანკარელთა კარში კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ამით გამწარებულმა „გენჩლერის" ლეგიონერმა იოულამ არბიტრს ხელი ჰკრა და ამისთვის გააძევეს. აქვე ვთქვათ, რომ მატჩამდე მსაჯს გზა არევია და სტამბოლის ოლიმპიური სტადიონისთვის ძლივს მიუგნია.

**რომან თურქია**

# სტადიონის გზას ვერ მიმასწავლით?
## გენჩლერს შავი ზღვის ქარიშხალმა გადაუარა




ჯერ იყო ჩხუბი, მერე ზეიმი



## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ჰიბერნიანი 1:2 პარტიკი**

1:0 მერდოკი (33), 1:1 გრედი (38), 1:2 მერდოკი (60ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 35 | 29 | 4 | 2 | 101:23 | 91 |
| რეინჯერსი | 35 | 24 | 6 | 5 | 73:29 | 78 |
| ჰართსი | 35 | 16 | 11 | 8 | 50:37 | 59 |
| დანფერმლაინი | 35 | 14 | 11 | 10 | 40:44 | 53 |
| მოზერუელი | 35 | 12 | 9 | 14 | 39:44 | 45 |
| დანდი იუნ. | 35 | 11 | 10 | 14 | 42:56 | 43 |
| ჰიბერნიანი | 36 | 10 | 11 | 15 | 39:56 | 41 |
| ლივინგსტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 42:52 | 39 |
| კილმარნოკი | 35 | 11 | 5 | 19 | 45:70 | 38 |
| დანდი | 35 | 9 | 10 | 16 | 42:56 | 37 |
| აბერდინი | 35 | 9 | 7 | 19 | 38:56 | 34 |
| პარტიკ თისლი | 36 | 6 | 6 | 24 | 35:63 | 24 |

## იაპონია

### ჯეი ლიგა. VIII ტური

კობე — ტოკიო 1:2; კაშივა — გამბა 0:2; ივატა — ოიტა 2:1; ურავა — კაშიმა 1:0; ვერდი — იჩიჰარა 2:1; ნაგოია — ნიიგატა 1:1; სერეზო — ჰიროშიმა 1:2. *იოკოჰამა — შიმიცუ 12 მაისს გაიმართება*

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი 2004

### A ჯგუფი. I ტური

**ესპანეთი 1:0 თურქეთი**
**საფრანგეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### B ჯგუფი. I ტური

**უკრაინა 0:2 ინგლისი**
**ავსტრია 0:0 პორტუგალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**რაპიდი 3:2 კერნტენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 33 | 20 | 8 | 5 | 58:29 | 68 |
| აუსტრია | 33 | 19 | 8 | 6 | 56:26 | 65 |
| რაპიდი | 33 | 16 | 9 | 8 | 49:40 | 57 |
| პაშინგი | 33 | 15 | 11 | 7 | 52:40 | 56 |
| ბრეგენცი | 33 | 11 | 11 | 11 | 43:48 | 44 |
| ადმირა | 33 | 9 | 9 | 15 | 36:45 | 36 |
| მატერსბურგი | 33 | 8 | 10 | 15 | 34:51 | 34 |
| შტურმი | 33 | 7 | 11 | 15 | 35:47 | 32 |
| ზალცბურგი | 33 | 9 | 4 | 20 | 38:45 | 31 |
| კერნტენი | 33 | 5 | 11 | 17 | 29:59 | 26 |

## ხორვატია

### თასის ფინალი. I მატჩი

**ვარტექსი 1:1 დინამო**

0:1 სედლოსკი (33), 1:1 კასტელი (86)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 19 მაისს*

## უნგრეთი

### თასის ფინალი

**ფერენცვაროში 3:1 ჰონვედი**

1:0 ტოკოლი (36), 2:0 გერა (68), 2:1 ბაბიკი (74), 3:1 სოვუნმი (86)

## შვედეთი

### ალსვენსკა. V ტური

**იორგრიტე 1:2 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| მალმიო | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 11 |
| ჰამარბი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| კალმარი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| გიოტებორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| იურგორდენი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| იორგრიტე | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ტრელებორგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ლანდსკრონა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| აიკ | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:8 | 3 |
| იორებრო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:14 | 3 |
| სუნდსვალი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| ელფსბორგი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

# პირველად იყო შვედეთი

12 ივნისს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. მასში მონაწილე 16 გუნდის მწვრთნელი განაცხადებს უეფაში მალე წარადგენს.

პირველად შემადგენლობა შვედებმა დაასახელეს:

*მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ანკონა, იტალია), ანდრეას ისაკსონი (იურგორდენი), მაგნუს კილშტედტი (კოპენჰაგენი, დანია);*

*მცველები: ერიკ ედმანი, პეტერ ჰანსონი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ტედი ლუჩიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა, ინგლისი), იოჰან მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), მიხაელ სვენსონი, ანდრეას იაკობსონი (ბრონდბიუ, დანია), ერიკ ვალშტედი (ჰელსინგბორგი);*

*ნახევარმცველები: ანდერს ანდერსონი (ბელენენსეში, პორტუგალია), კიმ კალსტრიომი (რენი, საფრანგეთი), ტობიას ლინდეროტი (ევერტონი, ინგლისი), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), მიხაელ ნილსონი (ჰალმსტადი), ანდერს სვენსონი (საუთჰემპტონი, ინგლისი), კრისტიან ვილჰელმსონი (ანდერლეხტი, ბელგია), პონტუს ფარნერუდი (სტრასბური, საფრანგეთი);*

*თავდამსხმელები: ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი, ჰოლანდია), მარკუს ოლბოკი (ასტონ ვილა, ინგლისი), მატიას იონსონი (ბრონდბიუ, დანია)*

## ფეხბურთის რუკასთან



**ურუგვაის** ნაკრების თავდამსხმელი ფერნანდო კორეა დოპინგზე ჩავარდა. აკრძალული პრეპარატების ხმარებაში „მალიორკას" ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში, ვენესუელასთან 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ ამხილეს. ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციას კორეა ჯერ არ დაუსჯია, რადგან მან განმეორებითი ტესტი უნდა გაიაროს.

**ესპანურ** „ოსასუნას" მადრიდის „რეალის" თავდამსხმელის, ხავიერ პორტილიოს გადაბირება სურს. მართალია, პორტილიო ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილება ნამდვილად არ დაეწუნება, თუმც კარლუშ კეიროშის გუნდის ძირითადში რა ხანია, ვერ ხვდება. პამპლონელთა მექსიკელ თავკაც ხავიერ აგირეს კი პორტილიო ძალიან მოსწონს. „ოსასუნას" ერთ-ერთი წარმომადგენელი ერმინიო მენდესი „რეალის" სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოს სთხოვს, თუ არ მოგვყიდით, ეგებ იჯარით მაინც დაგვითმოთო.

**შვედეთის** ნაკრების თავდამსხმელ ჰენრიკ ლარსონს შოტლანდიის დატოვება გადაუწყვეტია. „სელტიკის" ფორვარდის მიზეზი არასაფეხბურთოა — ლარსონს თურმე გულზე არ ეხატება კლუბის ფანების გულგრილი დამოკიდებულება სხვა ფეხბურთელების მიმართ. „სელტიკი" ერთი ოჯახი უნდა იყოს, ჩვენ მარტო ფეხბურთელები კი არა, ადამიანები, მეგობრები ვართ და ფანებისგან ელემენტალურ პატივისცემას ნამდვილად ვიმსახურებთ" — ამბობს ლარსონი. და მაინც, რა მოხდა ასეთი? თურმე ერთ-ერთი თამაშისას „სელტიკის" უკმაყოფილო ვაიგულშემატკივრებს საკუთარ ფეხბურთელებისთვის ბოთლები უსვრიათ და უგინებიათ.

**გერმანულ** ბუნდესლიგაში შაბათს სეზონის უმთავრესი მატჩია — მიუნხენის „ბაიერნი" „ოლიმპიაშტადიონზე" ბრემენის „ვერდერს" უმასპინძლებს და... შესაძლოა, მასპინძლებს ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდეთ, მიხაელ ბალაკი და როი მაკაი. ბავარიელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი შეწუხებულია, მათ მიკროტრავმები აწუხებთ, თუმც ჰიცფელდს ექიმების იმედი ბოლო წუთებამდე ექნება.

**ფრანგული** „მონაკო", პირველად თავის ისტორიაში, ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა და რა გასაკვირია, თუ კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელ დიდიე დეშანს ახალი ხელშეკრულება შესთავაზა. „მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. იმედი გვაქვს, დიდიე არ დაგვტოვებს — განაცხადა „მონაკოს" პრეზიდენტმა პიერ სვარამ და დასძინა — სამწლიან კონტრაქტს ვთავაზობთ და დეშანს უკმაყოფილებას ვერ ვატყობთ". შეგახსენებთ, რომ დეშანის გადაბირებით ტურინის „იუვენტუსის" შეფობა უკვე რა ხანია, დაინტერესებულია.

**უკრაინულმა** დონეცკის „შახტარმა" გერმანელი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი თანამდებობიდან დაითხოვა. მიზეზი ცნობილია: „შახტარმა" მარად კონკურენტ კიევის „დინამოსთან" საჩემპიონო რბოლა უკვე თითქმის წააგო. ჯერ იყო და დონეცკელები „დინამოსთან" შინ დამარცხდნენ 2:4, ახლა კი, 23 ტურის შემდეგ, კიეველებს მთელი 9 ქულით ჩამორჩებიან. კლუბის პრეზიდენტ რინატ ახმეტოვის ბრძანებით, შუსტერს მიჰყვნენ მისი თანამემამულეებიც — ფიზმომზადების სპეციალისტი კაი ფრანცი და მეკარეების მწვრთნელი ვერნერ ფრიზე. „შახტარის" ახალი მწვრთნელი ჯერ არ დაუნიშნავთ, თუმც ის კი ცნობილია, რომ 9 მაისს, ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში კიროვოგრადის „ზირკას" წინააღმდეგ დონეცკელებს ვიქტორ პროკოპენკო დამოძღვრავს.

## Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

### მერვედფინალი. I მატჩები

**დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 3:0 ნასიონალი (ურუგვაი)**

1:0 რონდონი (3), 2:0 პანიგუტი (41პ), 3:0 ბერასა (66)

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 2:3 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 ტევესი (31), 1:1 ბონეტი (41), 2:1 კინტეროსი (45), 2:2 ხოსე კალვო (81), 2:3 გ. ბაროს შელოტო (90)

**სანტოს ლაგუნა (მექსიკა) 0:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

0:1 ტულა (58)

**სან კაეტანო (ბრაზილია) 2:1 ამერიკა (მექსიკა)**

0:1 არიელ გონსალესი (23), 1:1 ანდერსონ ლიმა (52), 2:1 ოვიედო (82ს.კ.)

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:0 კრუზეირო (ბრაზილია)**

1:0 ტელესი (38)

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 4:2 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1 რობინიო (2), 0:2 ელანო (4), 1:2 ამბროსი (18), 2:2 პ. ურუტია (48), 3:2 ამბროსი (73), 4:2 ფ. სალასი (85)

## ამხანაგური მატჩი. 25 მაისი

### კატალონია –ბრაზილია

### ბრაზილია

*მეკარეები: დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი);*

*მცველები: კაფუ (მილანი, იტალია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუნიორი, როკე ჟუნიორი (სიენა, იტალია), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), ლუსიო, ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი), ლუიზაო (ბენფიკა, პორტუგალია);*

*ნახევარმცველები: ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), კაკა (მილანი, იტალია), ბაპტისტა (სევილია, ესპანეთი), კრისი (კრუზეირო), ედუ, ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ფელიპე (ფლამენგო), კლებერსონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: რონალდო (რეალი, ესპანეთი), ადრიანო (ინტერი, იტალია), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი), ლუის ფაბიანო (სან პაულუ)*


რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ბერნარ ტაპის სულიერი შვილი

## რატომ ვერ აკოცა პაპენმა მიტერანს თავზე

*დაგენიძლავებით, რომ ფრანსუა მიტერანს ხელის ჩამორთმევისას თავზე ვაკოცებ — უთხრა ჟან-პიერ პაპენმა თანაგუნდელს „მარსელი" — „მონაკოს" სათასო ფინალის წინ, 1989 წლის ათ ივნისს, მაგრამ კოცნა ვერ გაბედა და ნიძლავი წააგო, ხოლო მისმა „მარსელმა" თასი მოიგო. თავად ფორვარდმა მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა.*

*ორი დღის წინ ჟან-პიერ პაპენმა საბოლოოდ გაიძრო ბუცები და თამაშს შეეშვა. ოფიციალურად იგი 1999 წელს გააცილეს ფეხბურთიდან, მაგრამ მოყვარულთა ლიგაში მაინც თამაშობდა. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „კაპ ფერეს" მაისურით 140-მდე გოლი გაიტანა და ეს გუნდი მოყვარულთა უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანა. „კაპ ფერე" მან იმიტომ არჩია, რომ ამ კლუბის პრეზიდენტი მისი მეგობარია*




„გასულ სეზონში პატარა ქალაქ ფიუმლში ვითამაშეთ. იქ მატჩის სანახავად დაახლოებით ათი კაცი თუ იკრიბება, მაგრამ ჩემს გამო 800-მდე გულშემატკივარი მოვიდა" — თქვა პაპენმა.

ჟან-პიერის მშობლები ადრევე გასცილდნენ ერთმანეთს და ბავშვი ბებიას მიაბარეს, რომელიც ბელგიის საზღვართან ახლოს, ჟერმონში ცხოვრობდა.

15 წლის პაპენი „ვალანსიენმა" აიყვანა და კლუბ „ვიშის" მიაბარა.

თავიდან ბიჭი ზარმაცობდა, მაგრამ მწვრთნელმა მასში ნიჭი ნახა და ბურთისკენ მოაბრუნა.

ოცი წლის პაპენი „ვალანსიენში" დაბრუნდა. მაშინ გუნდი მეორე დივიზიონში გამოდიოდა. ფეხბურთელის პროფესიული დებიუტი 1984 წლის 11 ივლისს შედგა.

„ჩვენ „კანს" ვეთამაშებოდით — გაიხსენა ჟან-პიერმა — შეხვედრა 1:1 დასრულდა. მე გაგიჟებული ვიყავი იმის გამო, რომ ორი მეტრიდან გოლი ვერ გავიტანე, ბურთი მეკარეს მოვარტყი"! ერთი კვირის შემდეგ შეცდომა გამოასწორა და „ვალანსიენმა" მისი გოლით მოიგო. იმ სეზონში 15 გაიტანა და მისი მსურველი დიდი კლუბებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ფრანგებს ბელგიელებმა დაასწრეს და ჟან-პიერი „ბრიუგემ" გადაიბირა.

ბელგიაში იგი უცბად გახდა პოპულარული. სწორედ იქ შეარქვეს JPP და მის ფანთა პირველი კლუბიც შეიქმნა.

გულშემატკივრებს განსაკუთრებით პაპენის ბრძოლისუნარიანობა, მოუღლელობა და ფუსფუსი მოსწონდათ. ყოველ მატჩს ისე თამაშობდა, თითქოს ბოლო ყოფილიყოს. ბურთს კარში ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან ურტყამდა. „ბრიუგეს" შემადგენლობაში ერთ სეზონში 32 გოლი გაიტანა.

ანრი მიშელს მისი გარჯა არ გამოჰპარვია და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ ნაკრებში უხმო. პაპენის აზრით, მან მიშელი ჩემპიონთა თასის მატჩის, „ბრიუგე" — „ბოავიშტას" შემდეგ მოხიბლა, რომელშიც ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

საფრანგეთში ეს რომ გაიგეს, ყველა კითხულობდა, ვინ იყო ჟან-პიერ პაპენი, მას ხომ საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში არასოდეს ეთამაშა.

მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე პაპენმა ვერ გაიბრწყინა, გამოცდილება აკლდა, თუმც მიშელ პლატინის ახალი თანაგუნდელის მონდომება მეტად მოსწონდა. სამაგიეროდ, კანადასთან გატანილი მისი გოლი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში საიუბილეო, 1200-ე გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ მექსიკიდან დაბრუნებულ ჟან-პიერს საფრანგეთში ამრეზით უყურებდნენ, მაგრამ ფორვარდი არ გატყდა. იშრომა, იწვალა და დაუფასდა კიდეც. მუნდიალის შემდეგ „მარსელში" გადავიდა, სადაც ბრწყინვალე ექვსი სეზონი გაატარა. ხუთჯერ ზედიზედ ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, ოთხჯერ კი ჩემპიონი.

პაპენს განსაკუთრებით 1989 წლის თასის ფინალის გახსენება უყვარს. მაშინ „მარსელმა" „მონაკოს" მოუგო და ფორვარდმა სამი გოლი გაიტანა. „ამ ჰეთ თრიქისთვის თასის გარდა ფრანსუა მიტერანის კოცნაც დავიმსახურე. ეს ჩემთვის კი არა, ყველასათვის მოულოდნელი იყო" — ხარობდა ნამატჩევს პაპენი.

მარსელში ჟან-პიერ პაპენის ნომრიანი მაისურები გრიალით იყიდებოდა, ხოლო კლუბის პრეზიდენტი ბერნარ ტაპი თავს პაპენის „სულიერ მამას" უწოდებდა.



ჟან-პიერ პაპენი, კარლ-ჰაინც რიდლე და იან რაში

„უკვე „მილანში" ვიყავი, როცა ტაპი მატჩების ჩაწყობაში ამხილეს და გული დამწყდა, რომ პრეზიდენტი საშინლად დახატეს. სინამდვილეში ის ძალიან კარგი ადამიანია და მისგან დიდად ვარ დავალებული. უმისოდ ჩემი ბრწყინვალე კარიერა ეგებ არც შემდგარიყო. იგი ხომ სწორედ იმ მომენტში მენდო, როცა 1986 წლის მუნდიალის მერე სერიოზულად აღარავინ მიყურებდა. სხვებს ეგებ ტაპი დამნაშავედ მიაჩნია, მე კი მეორე მამად მივილე" — თქვა პაპენმა.

„მარსელში" თუ ბრწყინავდა, „მილანში" გადასვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ჯაფა დაადგა. ბედის ირონიით, 1993 წლის მაისში ეს გუნდები ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ჟან-პიერ პაპენმა იმ მატჩში ვერ გაიტანა. „მილანი" დამარცხდა. ორი წლით ადრე ჟან-პიერი „მარსელში" იყო, ფრანგულმა კლუბმა ჩემპიონთა თასის ფინალში „ცრვენა ზვეზდასთან" წააგო, ხოლო 1994-ში „მილანმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მაგრამ პაპენი უკვე „ბაიერნში" თამაშობდა.

მილანში ყოფნისას ფეხბურთელს ოჯახური პრობლემა გამოუჩნდა. მის გოგონას, ემილს, ცერებრალური დამბლა დაემართა, რამაც ხელ-ფეხის პარალიზება გამოიწვია. დაღონებულმა მამამ შვილი ამერიკაში რამდენჯერმე წაიყვანა სამკურნალოდ.

პაპენს შეეძლო „მილანში" დარჩენა, მაგრამ ემილის ექიმებმა კლიმატის შეცვლა ურჩიეს და ამიტომ გადავიდა მიუნხენის „ბაიერნში". იქ კი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდა.

მიუნხენიდან სამშობლოში, „ბორდოში" გადაინაცვლა, რომ ნაკრების მწვრთნელს ხშირად ენახა და ეგებ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ეთამაშა, მაგრამ ემე ჟაკემ თქვა, პაპენის დრო წავიდაო.

„ბორდოში" ორი სეზონი დაჰყო, ხოლო იქიდან „გენგამში" სამი თვით აღმოჩნდა. 1999-ში პროფესიული ფეხბურთიდან წავიდა, მაგრამ თამაში მოყვარულებში გააგრძელა.

„მე მსურდა, რომ „გენგამს" მეორე დივიზიონიდან პირველ დივიზიონში გადასვლაში დავხმარებოდი, მაგრამ ოჯახს ვერ შეველიე, მათ გარეშე ცოტა ხანსაც ველარ ვძლებ. ერთხელ, როცა სახლში მივედი და ჩემი ემილი ვნახე, საკუთარ თავს ვუთხარი, კმარა! რამდენ ხანს უნდა ირბინო კიდევ გუნდიდან გუნდში! ემილის სენმა მაიძულა ფეხბურთიდან წასვლა. მისი მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება, მაგრამ საბოლოოდ გამოსაჯანმრთელებლად კიდევ რამდენიმე წელია საჭირო".

1999 წლის 30 მაისს მარსელის „ველოდრომზე" გაცილება მოუწყევს. ახლა პაპენი არკაშონში ცხოვრობს. ცოტა ხანს „სენ პიერუა რეუნლონის" მოყვარულთა გუნდში თამაშობდა, შემდეგ კი, მეგობრის ხათრით, „კაპ ფერესში" გადავიდა.

„ჩემს კარიერაში ყველაზე მწარედ ორი რამ მახსენდება. პირველი: „მარსელმა" „ცრვენა ზვეზდას" რომ ვერ მოუგო ჩემპიონთა თასის ფინალში, არადა, ჩვენ მათზე ძლიერნი ვიყავით. ეს ფინალი ჩემს თავში სულ ტრიალებს. მეორე: ჟაკემ ნაკრებში რომ არ ამიყვანა. ეს ჩემი ბოლო შანსი იყო. ჟაკემ დამირეკა და მითხრა — მაპატიე, ჟან-პიერ, მაგრამ შენ უნდა გამიგო — გავუგე, თუმც ძალიან მეწყინა".

**გაჟა ხუციშვილი**



პაპენი „მარსელში", პაპენი „ბაიერნში"

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მეორე წრე. 15 ტური 26

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა



„ამერს“ ბევრი მომენტი ჰქონდა, პენალტიც კი...

თბილისი. 6 მაისი. 18 საათი. ეროვნული. 200 (ტევადობა 70 900)

## ამერი 0:1 ოლიმპი

0:1 ჟღენტი (61)

კაიდარაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (7, ააცილა )

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე (წინამძღვრიშვილი 76), ხუბუა (ნიკოლაიშვილი 66), გარუჩავა, ვერემჩუკი, სილაგვა,ა კაიდარაშვილი, გოცირიძე (შონია 66), რუსია
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ოლიმპი: ნაჭყებია, ლონლაძე, უსენაშვილი, ფარფალია, ცქვიტაია, ბერიძე, ყველაშვილი, გოგუა (ფიფია 86), ჟღენტი, ნათიძე (ბურჭულაძე 68), წულუკიძე (კეკოშვილი 31)
მწვრთნელი: ჯონი ჯანელიძე

გაფრთხილება: დავითნიძე (21), ბერიძე (87)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე; ი. კახიანი

# ცხელ ფეხებს ცივი გონება უხდება

კობა ინასარიძე

**ფეხბურთს** თავის დაუწერელი კანონებიც აქვს. მაგალითად, ცნობილი „გასატანს ვერ გაიტან, იქით გაგიტანენ“. მარტივია, მომენტს რომ შექმნი, უნდა გამოიყენო. არ გამოიყენებ და სასჯელისთვისაც მზად უნდა იყო. „ამერმა“, ვისაც გუშინდელი მატჩის მოგება უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ადგილებს მიაახლოვებდა, სამი ქულისთვის „ოლიმპთან“ ყველაფერი გააკეთა, თუმც ვერ გააკეთა მთავარი, ის, რასაც სამი ქულა მოაქვს — გოლი. გოლი „ოლიმპმა“ გაიტანა და პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ნაბიჯიც გადადგა.

არადა, „ამერს“ უნდა მოეგო.

მასპინძელთა მწვრთნელმა გუნდი ნაცადი ტაქტიკური სქემით ათამაშა. სამი მცველით, ოთხი ჰავბეკითა და სამი, ამათგან ერთი უკანდახეული თავდამსხმელით. ამჯერად ეს ერთი კაიდარაშვილი იყო, გოცირიძე და რუსია გამოკვეთილი ფორვარდის ფუნქციებს ასრულებდნენ.

მატჩის დასაწყისში ამ სამეულმა ბევრი პრობლემა შეუქმნა „ოლიმპის“ სამკაციან უკანა ხაზს. მე-7 წუთზე კი რუსიამ პენალტიც მოინადირა: საჯარიმოში შეჭრილმა ბურთზე თამაში წამით დაასწრო უსენაშვილს, მან კი ფეხი გამოსდო და არბიტრმაც უყოყმანოდ მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ. დარტყმა კაიდარაშვილმა ითავა და ბურთი კარს ააცილა. შევნიშნოთ, რომ „ამერის“ მეგოლეს ზედიზედ მეორე პენალტი გაუცუდდა.

ვერგამოყენებული რეალური საგოლე მომენტის შემდეგ მასპინძელთა იერიშები არ შენელებულა. ისინი ბურთს თავდაჯერებულად აკონტროლებდნენ და „ოლიმპის“ დაცვაში ხვრელებს ეძებდნენ. გამოძებნეს კიდეც რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. ჯერ გოცირიძემ ორიოდ მეტრიდან უზუსტოდ დაარტყა ნაჭყებიას კარისკენ, შემდეგ კი რუსიას ჰქონდა ასევე რეალური მომენტი, მაგრამ ვერც მან იხეირა.

შესვენების შემდეგ „ოლიმპი“ ოდნავ კი გააქტიურდა, მაგრამ ტემპს „ამერმაც“ უმატა და, შესაბამისად, თამაშიც უფრო თვალსასეირო გახდა. მასპინძლები ფლანგებს ხშირად იყენებდნენ, შეტევის მიმართულებასაც ხშირად ცვლიდნენ, სტუმრებს კი შეტევის საპასუხოდ გადაწყობა უჭირდათ. ამერელები განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგს ტვირთავდნენ, სადაც სწრაფი სილაგავა ბევრს და ეფექტურად მოძრაობდა, თუმც ბოლო, საგოლე პასის გაკეთებისას სიზუსტე აკლდა. მეორე ტაიმში „ამერმა“ კიდევ ერთი ნაღდი მომენტი გააცუდა — რუსია ნაჭყებიასთან პირისპირ დარჩა, ბურთი კარის შორეული კუთხისკენ დაარტყა, მაგრამ ისევ უზუსტოდ. რამდენიმე წუთში კი „ამერის“ მცველები მათ საჯარიმოში შექმნილ ვითარებაში ვერ გაერკვნენ, ბურთი ვეღარ მოიგერიეს და ჟღენტიც უმეთვალყურეოდ დატოვეს. მან კი უნაკლოდ დაარტყა და გამარჯვების გოლიც გაიტანა. ორიოდ წუთში მასვე ჰქონდა ერთი მომენტიც, მაგრამ ასლანაძემ აღარ გაატანინა.

*ჯონი ჯანელიძე:* მადლობა „ამერს“ ვაჟკაცური, კარგი თამაშისთვის. ვისიამოვნე ამ შეხვედრით. მასპინძლებს უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ რას იზამ, ბურთი მრგვალია, ყოველთვის ვერ მოიგებ. ჩემპიონატის სტრუქტურა დასახვეწი და შესაცვლელია. პირველი ლიგიდან ხუთი გუნდი არ უნდა ვარდებოდეს, ეს ნამეტანია. „ოლიმპი“ „თბილისის“ ფარმკლუბია და უმაღლესში გადასვლა არ შეგვიძლია, მაშინ ჩვენთვის ნურც გავარდნა იქნება.

*გიორგი ჩიხრაძე:* ბიჭებს ვაფრთხილებდი, რომ ძალიან რთული მატჩი გველოდა და ასეც მოხდა. ფეხბურთელებმა იბრძოლეს, თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. უამრავი მომენტი შევქმენით, გოლის გატანა კი ვეღარ შევძელით. ბოლო, ზუსტი დარტყმა ბიჭებს არ გამოუვიდათ, ასეთ დროს ცივი გონებით მოქმედებაა საჭირო, რაც განსაკუთრებით თავდამსხმელებს აკლიათ. ბოლო დროს ამ მიმართულებით ვმუშაობთ, ბევრი გოლიც გავიტანეთ, მაგრამ დღეს არაფერი გამოგვივიდა.

**ლოკომოტივი 2 2:5 მილანი**

**რუსთავი 8:1 მეტალურგი**

**ჩიხურა 0:0 სამგურალი**

**თსუ 2:0 ვიტ ჯორჯია მცხ.**

**ცხინვალი 3:1 გურია**

**ქობულეთი — დინამო 2**

*გადაიდო*

**იბერია — ლუკა**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 25 | 16 | 2 | 7 | 45:23 | 50 |
| სამგურალი | 26 | 14 | 7 | 5 | 33:16 | 49 |
| რუსთავი | 26 | 15 | 3 | 8 | 44:27 | 48 |
| დინამო 2 | 25 | 13 | 4 | 8 | 64:30 | 43 |
| მილანი | 26 | 12 | 6 | 8 | 32:24 | 42 |
| ოლიმპი | 26 | 12 | 6 | 8 | 33:29 | 42 |
| ჩიხურა | 26 | 12 | 4 | 10 | 32:24 | 40 |
| გურია | 26 | 12 | 4 | 10 | 34:33 | 40 |
| თსუ | 26 | 11 | 7 | 8 | 45:27 | 40 |
| ამერი | 26 | 11 | 7 | 8 | 31:21 | 40 |
| ცხინვალი | 26 | 11 | 6 | 9 | 37:22 | 39 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 26 | 10 | 8 | 8 | 28:19 | 38 |
| იბერია | 25 | 9 | 5 | 11 | 19:35 | 32 |
| ლოკომოტივი 2 | 26 | 6 | 1 | 19 | 19:67 | 19 |
| ლუკა | 25 | 5 | 1 | 19 | 24:59 | 16 |
| მეტალურგი | 26 | 1 | 1 | 24 | 13:79 | 4 |

*მამუკა წერეთელი ხუთიოდე წლის წინ იმ ქართველ ფეხბურთელთა შორის იყო, ვისაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ტანთხელმა და ტანმაღალმა მამუკამ ჯერ კიდევ 18-წლამდელთა ნაკრებში მიიქცია ყურადღება. შემდეგ იყო ახალგაზრდული ნაკრები, ეროვნული, საკლუბო კარიერაში კი ჯერ რუსეთი, მერე ბელგია და... ბედმაც უმუხთლა...*

*მამუკა რედაქციაში გვესტუმრა და წარსულსა და დღევანდელობაზე გვესაუბრა.*

# ოცნებას ვერ დაჭრი
## მამუკა წერეთლისთვის დიდმის კარი აღარ ჭრიალებს

**— „დინამომ“ რომ დაგიწუნა, მას შემდეგ ჟურნალისტებთან ლაპარაკს ერიდებოდი...**

— ერთი წელია, „დინამოში“ ვთამაშობ. კონტრაქტის ამოწურვამდე თვენახევარი მრჩებოდა. ასეთ მოქცევას ნამდვილად არ ველოდი. ნაწყენი და დაბოღმილი ნაღდად არ ვარ, პირიქით, „დინამოში“ რომ მივედი, საკმაოდ ცუდ ფორმაში ვიყავი და აღდგენას დიდი დრო შევალიე. საწყენი ისაა, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ნაკლებმტკივნეულადად მომხდარიყო. კონტრაქტის ამოწურვის მერე ხელი ხელს დაგვერტყა — როგორც ევროპულ კლუბებში იქცევიან!

**— რატომ აღმოჩნდი ზედმეტი „დინამოსთვის“, ალბათ ამაზეც ბევრი გიფიქრია...**

— ვთქვათ, საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ იმას ხომ მაინც ვერავინ იტყვის, უგულოდ თამაშობდაო.

**— ახლა რას აპირებ?**

— თავისუფალი აგენტი ვარ და ალბათ ახალი კლუბის მოძებნა არ გამიჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი გერმანელი აგენტი, რომელიც ბელგიაში თამაშისას გავიცანი, ახალ ვარიანტებზე მუშაობს.

**— რაიმე კონკრეტული ვარიანტი თუა?**

— წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. არის რაღაც შემოთავაზებები. ძირითადად რუსული და ბელგიური კლუბებიდან. კვიპროსზე ახლავე შემიძლია წასვლა, მაგრამ არ მინდა, საქართველოს ისე დავშორდე, რომ ნაკრებზე ოცნებაც შევწყვიტო.

**— ისევ „დინამოს“ დავუბრუნდეთ. შუშაკის თავკაცობის ბოლო პერიოდში გუნდის წარუმატებლობა რისი ბრალი იყო?**

— მიზეზი იყო. ფეხბურთელთა ნახევარმა იცოდა, რომ „დინამოში“ ვეღარ დარჩებოდა. სამწუხაროდ, ხშირად უფროსობისგან სატრანსფერო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები დროზე ადრე ცხადდებოდა. ეს, ბუნებრივია, ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად დამთრგუნველად მოქმედებდა და თამაშებიც არ აგვეწყო. შუშაკს რაც შეეხება, მადლობის მეტი რა მეთქმის. ის მარტო კარგი მწვრთნელი კი არა, კარგი ფსიქოლოგიც იყო. მასთან ფეხბურთის გარდა სხვა თემებზეც ხშირად მისაუბრია. შუშაკი მენდობოდა და რომ ავთამაშდი, მისი დიდი დამსახურებაა.

**— კარიერის ყველაზე დიდ შეცდომად რას თვლი?**

— ჩემი ბავშობის შეცდომების გახსენებაც არ მინდა. 16 წლის ვიყავი, გაიოზ დარსაძემ 17-წლამდელთა ნაკრებში თამაში რომ შემომთავაზა. ვუპასუხე — არ მინდა ნაკრები! გაოცებულმა ალექსანდრე ჩივაძესთან მიმიყვანა, ეგებ ამ ავტორიტეტული კაცის დარიგებამ მაინც გაჭრასო. მან გაოცებით მკითხა, რატომ არ გინდა ნაკრებში თამაშიო. მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი, არ მინდა და მორჩა-მეთქი. ბოლოს ახალკაცთანაც მიმიყვანეს. მისი მკაცრი ტონის გაგონებისას წინააღმდეგობა არ გამიწევი და მას შემდეგ სხვადასხვა ასაკის ნაკრებში ვთამაშობდი. ეროვნულში 15 თამაში ჩავატარე. შემდეგ გავიგე, რომ ახალკაცს უთქვამს, საქართველოს ნაკრების დაცვა კალაძე-წერეთლის დუეტზე უნდა აეწყოსო, მაგრამ არ გამოვიდა, მესროლეს, ფეხში დამჭრეს და ლამის ყველაფერი დამთავრდა.

**— 16 წლის წერეთელს ნაკრებში თამაში არ სურდა, 25 წლისა რას ფიქრობს?**

— 25 წლის წერეთელს ნაკრებში თამაში სიგიჟემდე უნდა. ამიტომაც ვცდილობ, ისეთ ქვეყნებში არ წავიდე, სანაკრებო კარი დამეკეტოს. ძალიან მოვინდომებ და ჩემსას მაინც მივაღწევ. ნახავთ, მე დავბრუნდები ნაკრებში.

დავით ერაძე



# დაშავებული მუჯირის დანაშაული

*ავსტრიის თასის ნახევარფინალი: „შტურმი“ — „აუსტრია“. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ, 1:1 დასრულდა. მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში კი „აუსტრია“ 5:4 იგებს. ბურთთან დავით მუჯირი მივიდა, ნიშნულზე დადო, გაექანა და... სტუმართა მეკარემ ქართველი ნახევარმცველის დარტყმული მოიგერია. „მუმუმ“ თავში ხელები წაიშინა, მოედანზე დაემხო და თვალები ცრემლით აევსო...*

*ასე უიღბლო გამოდგა გუშინწინდელი მატჩი დავით მუჯირისთვის. არადა, „შტურმი“ მოგების შემთხვევაში ჩავდებულ სეზონს უეფას თასზე გასვლით გაილამაზებდა. არ გამოვიდა. გრაცელებმა ნახევარფინალს ვერ გადააბიჯეს. ჩვენებურის უიღბლობა კი ამით არ დასრულებულა...*



## მემარჯვენე მუმუ მარცხენამ დაალალატა

— ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. უეფას თასზე გვეგონა თავი და ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ გავვარდით. თან გადამწყვეტი პენალტი გავაფუჭე.

— მგონი, პენალტი არასოდეს გაგიცუდებია...

— მეც არ მახსოვს ასეთი შემთხვევა. არ მინდოდა დარტყმა, მაგრამ...

— საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყავი?

— უბრალოდ, ტრავმის გამო ვარიდებდი თავს. პირველ ხუთ კაცშიც უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მწვრთნელს ვუთხარი, ფეხი მტკივა და ვერ დავარტყამ-მეთქი. ტრავმა პირველ ტაიმში მივიღე და მატჩის ბოლომდე ასე ვითამაშე. გუნდის დალალატება არ მინდოდა, მერე კი იძულებული ვიყავი, მაინც დამერტყა. 4:5-ზე ვითარება ისე დაიძაბა, რომ ბურთთან მისვლა არავის უნდოდა. სამწუხაროდ, მეკარემ მაჯობა. თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

— ტრავმა სერიოზულია?

— მარჯვენა ფეხი მტკივა. ექიმებმა გამსინჯეს, მაგრამ ჯერ გამოკვლევა არ ჩაუტარებიათ. სიარული მიჭირს, მაგრამ არა მგონია, დიდი ხანი გამიცდეს. დღეს და ხვალ რომ ვერ ვივარჯიშებ, ფაქტია. დანარჩენს დიაგნოზის დასმის მერე მეტყვიან.

— თამაშზე რას იტყვი?

— „აუსტრიამ“ გოლი რომ გაგვიტანა, მერე მოედანზე მხოლოდ „შტურმი“ იყო, უფრო მეტად ამიტომაც მწყდება გული. სულ მცირე, 7-8 ასპროცენტიანი მომენტი გვქონდა. მეტოქეს მაგრად ვაჯობეთ. „აუსტრიას“ მწვრთნელმაც თქვა, „შტურმისგან“ ასეთ თამაშს არ ველოდიო.

— შენ თუ შეგეძლო გატანა?

— მაგ მომენტებს ნულარ გამახსენებ. ორჯერ ისეთი გოლი ვერ გავიტანე... ყველაზე მეტად პირველ მომენტზე მწყდება გული — კარში უნდა დამერტყა, მაგრამ მტკივან მარჯვენას მარცხენა ფეხი ვარჩიე და ავაცილე. კინაღამ გავგიჟდი.

— ფაქტობრივად, თქვენთვის სეზონი დასრულდა...

— ასე გამოდის, მაგრამ ჯერ ხომ მაქსბუნდესლიგაში დარჩენა არ გაგვინაღდებია. თან მომავალ ტურში დერბი გვაქვს. „გრაცერთან“ თამაში ძალიან მინდა და იმედი მაქვს, შევძლებ. ახლა მთელი ქალაქი ამ მატჩზე ლაპარაკობს. „შტურმი“ — „გრაცერი“ ავსტრიაში ძალიან პოპულარულია.

— ბოლოს ნაკრებზეც გკითხავ. ცოტა ხნის წინ ალენ ჟირესმა საქმეში გნახა და გელაპარაკა კიდეც. 27 მაისს კი საქართველო — ისრაელია. საამხანაგო გამოძახებას ხომ არ შეგპირდა ნაკრების თავკაცი?

— შეპირებით არ შემპირებია, მაგრამ მითხრა, უახლოეს ამხანაგურ მატჩებში გამოგიძახებო. შესაძლოა, ეს ისრაელთანაც მოხდეს. ისე, ჟირესი ცუდ დროს კი ჩამოვიდა ავსტრიაში. რომელი თამაშიც ნახა, ის 0:3 წავაგეთ. თუმცა მატჩის შემდეგ მითხრა, შენი თამაშით კმაყოფილი ვარ და სულ ძირითადში თუ თამაშობ, სანაკრებოდ კარგი შანსი გაქვსო. სეზონი 20 მაისს გვიმთავრდება, მაგრამ ისრაელთან ნაკრებში თუ მიმიწვევენ, შვებულებას ერთი კვირით შევიმცირებ, ეს არაა პრობლემა. ნაკრებში ვითამაშო და...

**ბახა ზალამბერიძე**



დავით მუჯირის საბედისწერო პენალტი

# ფედერაციამ ბაზა თბილისს მისცა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**რასაც** გუშინწინ ვწერდით, ის გუშინ გადაწყდა: საქართველოს ნაკრების ბაზით საფეხბურთო კლუბი „თბილისი“ ისარგებლებს.

ფეხბურთის ფედერაციისა და „თბილისის“ ხელმძღვანელები გუშინ ამ საკითხზე საბოლოოდ შეთანხმდნენ. ნაკრები და „თბილისი“ ერთნაირად ისარგებლებენ ფიფას დახმარებით აშენებული ბაზით. ნაკრები, ბუნებრივია, მაშინ, როცა თბილისში შეიკრიბება, რაც წელიწადში სამ-ოთხჯერ მოხდება. ნაკრებისგან უქმე დროს კი ბაზა „თბილისისა“ იქნება.

ფედერაციისა და კლუბის შეთანხმების ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია, თუმცა, როგორც „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გუშინ გვითხრა, ბაზით სარგებლობის სანაცვლოდ კლუბი ბაზის კეთილმოსაწყობად დარჩენილ ყველა სამუშაოს თავად დაასრულებს, ბაზას გააკოხტავებს, მოუვლის, შესაბამის დროს კი იქაურობას დაცლის და ნაკრებს დაუთმობს.

**კობა ინასარიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გორული ინციდენტი: ეს წუთებია, მატჩის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ მსაჯები მოედანზე შეატრიალა

# გორელებმა მსაჯებს ესროლეს და დილას გაარტყეს

*საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გორში „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ შორის 10 წუთით შეწყდა. მიზეზი ტრიბუნებიდან ნასროლი ქვები და ბოთლები იყო. გორელები დინამოელთა გატანილმა გოლმა ალაშფოთა ‑ თამაშგარედან გაგვიტანესო...*

*ბუნებრივია, საინტერესოა, რა პატაკი შეადგინა ამ მატჩის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ პროფლიგაში წარსადგენად. მას გუშინ დავუკავშირდით*

— პატაკში ის ჩავწერე, რაც მოხდა. მსაჯთა ბრიგადამ კარგად იმოქმედა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. დეტალურად აღვწერე ის ინციდენტი, რამაც შეხვედრის შეწყვეტა გამოიწვია. დაახლოებით 6-7 წუთის განმავლობაში ტრიბუნებიდან ქვებსა და სხვადასხვა საგნებს ისროდნენ. ასეთი ვითარება ხიფათს მხოლოდ არბიტრებს არ უქმნიდა.

— იყო თუ არა მატჩის ჩაშლის საშიშროება?

— თუ ტრიბუნებზე სიტუაცია არ დაწყნარდებოდა ან პირიქით, გულშემატკივრების აგრესია იმატებდა, ჩაშლის საშიშროება ნამდვილად იყო. მსურს, „დილას“ ხელმძღვანელობას დიდი მადლობა გადავუხადო ვითარებაში აქტიური ჩარევისთვის. თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯებთან ორივე გუნდის წარმომადგენლები მოვიდნენ და მადლობა გადაუხადეს.

— მაყურებელთა პროტესტი იაშვილის გოლს მოჰყვა. რამდენად საფუძვლიანი იყო გულშემატკივართა პრეტენზია?

— გოლი წესების სრული დაცვით გავიდა და მის სამართლიანობაში ეჭვის შეტანა აბსურდია...

სავარაუდოდ, პროფლიგაში ამ ინციდენტზე უახლოეს დღეებში იმსჯელებენ და შესაძლოა, გულშემატკივართა ზღვარგადასული უწესობისთვის „დილა“ მკაცრად დასაჯონ.

**დავით ერაძე**

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავუჯერე კრუიფს და ვერ გავიტანე შუხუთური მოსკვიჩით რუსეთის გარშემო

*როგორ გადმოდიოდნენ საქართველოს პროვინციის გუნდები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში?*

*ამის შესახებ მოგვითხრობს ოთარ კორღალიძე, ვინც ეს ორ გუნდში მოახერხა — ქუთაისის „ტორპედოში" და ლანჩხუთის „გურიაში".*

*კორღალიძე იყო ტექნიკური, რბილი მანერით მოთამაშე ფეხბურთელი, რომელიც მეტწილად გამთამაშებლად თამაშობდა. მას თბილისის „დინამოში" და ევროტურნირებზეც უთამაშია, მაგრამ ამჯერად სულ სხვა ამბები მოვაყოლეთ — არანაკლებ საინტერესო და არაორდინალური.*

**დავით თავართქილაძე**



ქუთაისის „ტორპედოში" 1982 წელს მივედი. მაშინ გუნდი უმაღლეს ლიგაში იყო და მას გივი ნოდია წვრთნიდა. მომდევნო სეზონში „ტორპედოს" გიგა ნორაკიძე ჩაუდგა სათავეში, შემდეგ ის თემურ გრძელიშვილმა შეცვალა, მაგრამ „ტორპედო" უმაღლესი ლიგიდან მაინც გავარდა.

დადგა 1984 წელი და უმაღლეს ლიგაში დაბრუნება დაგვისახეს მიზნად. გუნდს ქალაქკომის მდივანი მამუკა ასლანიკაშვილი პატრონობდა, მაგრამ 1986 წელს მან თავი მოიკლა. „ტორპედოს" ავტოქარხანაც მესვეურობდა, აგრეთვე საქმოსნები — იმ ორგანიზაციების მმართველები, სადაც ფული კეთდებოდა. ჰოდა, პირობებიც ძალიან კარგი გვქონდა ფეხბურთელებს — ხელფასი 600 მანეთი და პრემიებიც. გუნდის მთავარ მწვრთნელად კვლავ გივი ნოდია დანიშნეს და მისი ძმაკაცებიც თავიანთი ინიციატივით გვერდში გვედგნენ ფინანსურ ამბავში.

მაშინ 25 წლის გახლდით და ის სეზონიც ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. „ტორპედოს" თავდასხმაში მერაბ მეგრელაძე და ალეკო კვერნაძე თამაშობდნენ, მე კი მათ უკან ვიყავი გამწესებული. ბურთებიც ჩვენ სამს გაგვქონდა. მე 24 გოლი გავიტანე და ორი ბურთით ჩამოვრჩი პირველი ლიგის ბომბარდირ რევაზ ჩელებაძეს, ვინც ბათუმის „დინამოში" თამაშობდა. მაგრამ ჩელებაძე ფორვარდი იყო, მე კი გამთამაშებელი. მეგრელაძეს და კვერნაძესაც ძირითადად ჩემი პასებით გაჰქონდათ.

მაშინ „ტორპედოში" თამაშობდნენ თამაზ კოსტავა, გოჩა ჯოხაძე და გია თავაძე. მოკლედ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ძალა ნაღდად შეგვწევდა.

ქუთაისში სტადიონი სულ სავსე იყო, ოცი ათასზე ნაკლები მაყურებელი არ მოსულა. ქუთაისში ბინაც მოგვცეს მე და მეგრელაძეს, რომელიც გურიიდან იყო, მაგრამ მერეც ქუთაისში დარჩა.

უმაღლეს ლიგაში ორი გუნდი გადადიოდა. პირველ ადგილზე ვორონეჟის „ფაკელი" გავიდა, მეორეზე კი ჩვენ. ყველაზე რთული მატჩები „ფაკელთან" გვქონდა, რომელსაც შინ 1:0 მოვუგეთ, — გოლი საჯარიმო დარტყმით გავიტანე. ქუთაისში ედუარდ შევარდნაძე იყო ჩამოსული და ასლანიკაშვილმაც ის სტადიონზე მიიწვია. მორიგი პრინციპული მატჩი ორჯონიკიძის „სპარტაკთან" გვეონდა და ისიც 1:0 მოვიგეთ კვერნაძის გოლით.

ერთი ამბავიც უნდა გავიხსენო. შინ ომსკის „ირტიშთან" გვქონდა მატჩი და თამაშის წინა დღეს გაზეთ „ლელოს" ვკითხულობდი, რომლის ერთ-ერთ სტატიაში იოჰან კრუიფის ნალაპარაკები ამოვიკითხე — 4:0-ს ვიგებდით, მაყურებელმა მოიწყინა და როცა პენალტი დაინიშნა ჩვენს სასარგებლოდ, გავათამაშეთ, ისე გავიტანეთ და მაყურებელიც გახალისდაო. მეორე დღეს „ირტიშს" შევხვდით და 4:0-ს ვუგებთ. დაინიშნა 11-მეტრიანი ომსკელთა კარში და ჩვენც მისი გათამაშება გადავწყვიტეთ — კოტე კერესელიძემ გარე ტერფით, მოჭრით დამიგორა, მაგრამ ბურთი „ბუგაროკზე" ახტა და ისე მოხდა, რომ წვივით დავარტყით — ბურთი მეკარეს მოხვდა და პენალტიც ვერ გავიტანეთ.

ამის შემდეგ ქუთაისში სანაძლეოები წავიდა. ერთნი ამბობდნენ, მსაჯმა მოსთხოვა ფეხბურთელებს პენალტის გათამაშებაო და დანიძლავებული გულშემატკივრები ბაზაზე მოდიოდნენ, რათა ჩვენგან გაეგოთ სიმართლე.

აგრესიულობას მხოლოდ დუშანბეში წავაწყდით — იქაური „პამირი" 1:0-ს გვიგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს კერესელიძემ გაათანაბრა. ჩვენმა სიხარულმა დუშანბელები გააღიზიანა და გოლის გამტანს ქვა თავში გაარტყეს, თუმც კერესელიძე მსუბუქი ტრავმით გადარჩა.

1989 წელს კი ლანჩხუთის „გურია" გავიდა პირველ ლიგაში მეორე ადგილზე და უმაღლესის საგზური მოიპოვა. მაშინ „გურია" მართლაც ჩინებული გუნდი იყო, გაცილებით უფრო სერიოზული და ძლიერი, ვიდრე 1984 წლის „ტორპედო". გუნდში უკვე დაკაცებული, ჩამოყალიბებული ფეხბურთელები თამაშობდნენ. უკრაინელი მწვრთნელი მიხაილ ფომენკო არც კი გვამოწმებდა, რეჟიმს ვარღვევდით თუ არა, რადგან ამის საჭიროება არ იყო.

პირობებიც უმაღლესი იყო „გურიაში", ბევრად უკეთესი, ვიდრე „ტორპედოში". გუნდს ლანჩხუთის რაიკომის მეორე მდივანი ალბერტ ლომაძე პატრონობდა, აგრეთვე ჩაის ფაბრიკის გენერალური დირექტორი ანზორ კილაძე. ერთი სიტყვით, არაფერი გვაკლდა. გრიგოლეთის ბაზაც მშვენიერი იყო, ზღვის პირას, არაჩვეულებრივ გარემოში ვცხოვრობდით.

„გურიაში" მაშინ ვიქტორ ხლუსიც თამაშობდა, უკრაინელი ფორვარდი, ვისაც ადრე კიევის „დინამოში" ეთამაშა. ბესიკ ფრიდონაშვილი, ოლიფერენკო, გოჩა ტყებუჩავა, ავთო ქანთარია, ბადრი დანელია — გამოცდილი და კარგი ფეხბურთელი გუნდში ბევრი იყო, მაგრამ საუკეთესონი და გამორჩეულებიც გვყავდნენ — მერაბ ჟორდანია და გია გურული. ჯარიმებს გუნდში ბევრი ასრულებდა კარგად, მაგრამ ჟორდანია პენალტივით ურტყამდა ჯარიმებს — თითქმის ყველა გაჰქონდა.

...9 აპრილი ახალი მომხდარია და პირველადგილოსანი მოსკოვის ცსკა გვეწვია. მეტოქე ფრეს გვთავაზობს, არმიის გუნდი ვართ და ხალხი რომ არ გაღიზიანდეს, ასე აჯობებსო. ჩვენ უარს ვამბობთ, წაგება გვირჩევნია გარიგებულ თამაშს. პირველი გოლი ჟორდანიას გააქვს, ცსკა ათანაბრებს, მაგრამ გურულმა ჩემი პასით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ბოლოსწინა ტურში ჩვენს კონკურენტ ტაშკენტის „ფახთაქორს" ვეთამაშებოდით შინ. ანგარიში უზბეკებმა გახსნეს. გურულმა გაათანაბრა, მერე მე დავაწინაურე „გურია", შემდეგ ჩემს კუთხურს ავტოგოლი მოჰყვა და 3:1 მოვიგეთ — ერთი ტურით ადრე გავინაღდეთ უმაღლესი ლიგის საგზური. ყველაფერ ამაზე დოკუმენტური ფილმიცაა გადაღებული, რომლის ვრცელ ნაწილშიც სწორედ „ფახთაქორთან" მატჩია ასახული. ეს ნაღდი თამაში იყო, არავითარი გარიგება და ჩაწყობა.

„გურია" ძალიან მეგობრული კოლექტივი იყო. გუნდში 20 კაცი ირიცხებოდა, მაგრამ განაცხადში 18-ზე მეტი არ შეიძლებოდა და როცა პრემიას ავიღებდით, განაცხადს მიღმა დარჩენილ ორ ფეხბურთელსაც ვუნაწილებდით — ისე ვაკეთებდით, რომ ყველა თანაბარ პრემიას ვიღებდით. მეუღლე ლანჩხუთელი მყავს და თამაშის შემდეგ ჩემი სიმამრის სახლში სულ 30 კაციანი სუფრა იშლებოდა, მეტოქე გუნდიდანაც კი ვპატიჟებდით 5-6 ფეხბურთელს.

გულშემატკივარიც ძალიან თავისებური, განსხვავებული იყო ლანჩხუთში. თუმც იქ მთელი დასავლეთ საქართველოდან მოდიოდა ხალხი თამაშზე. სტადიონზე ლატარია თამაშდებოდა და ავტომანქანებს სულ ცხაკაიელები იგებდნენ.

ერთ ქომაგზეც უნდა ვთქვა, იმნაძე იყო გვარად, ხეიბარი კაცი, რომელსაც ინვალიდის „მოსკოვიჩი" ჰყავდა და ამ მანქანით სად არ დაჰყვებოდა „გურიას", მთელი რუსეთი შემოვლილი ჰქონდა. იმნაძე სოფელ შუხუთიდან იყო და მისი მანქანით იქაური გულშემატკივრებიც მოგზაურობდნენ.

რაც შეეხება ჩაწყობილ თამაშებს, ასეთი ერთი-ორი თუ იყო და ამის შესახებ მატჩის წინ არავინ გვეუბნებოდა. ასეთ რამეებს თამაშიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ვიგებდით. კონკურენტებთან კი თამაშების ჩაწყობა არ ხდებოდა, არც პრინციპულ მატჩებში, ეს, უბრალო ერთგვარი დაზღვევა იყო, რათა გაუთვალისწინებელი ქულები არა დაგვეკარგა.

იმავე სეზონში, 1989 წელს თასზე კიევის „დინამოს" შევხვდით. გასვლაზე 0:2 წავაგეთ და ლანჩხუთში გუნდი ვალერი ლობანოვსკის გარეშე ჩამოვიდა. ფეხბურთელებს ვთხოვეთ, მინიმალური ანგარიშით მოგვაგებინეთ, გულშემატკივრებს გაუხარდებათ-თქო. შეხვედრა 2:1 მოვიგეთ. ლანჩხუთში ჭორებიც ბლომად იყო. ერთხელ ხმა გავარდა, ფეხბურთელებს უმაღლეს ლიგაში გადასვლა არ უნდათო და გრიგოლეთის ბაზაზე ორმოცდაათამდე გულშემატკივარი მოვარდა, იყო გაწევ-გამოწევა და ერთი ამბავი.



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 16.30 | 006 | მანჩესტერი-ჩელსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 007 | ევერტონი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 008 | ლიდსი-ჩარლტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 009 | ლესტერი-პორტსმუთი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 010 | მიდლსბრო-სიტი | 2,05 | 3,0 | 3,4 | 1,21 | 1,27 | 1,59 |
| 19.00 | 011 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2,9 | 3,3 | 2,25 | 1,54 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 21.35 | 013 | ბირმინგემი-ლივერპული | 3,3 | 3,4 | 1,9 | 1,67 | 1,2 | 1,21 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 014 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 20.05 | 015 | ფულემი-არსენალი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 17.00 | 053 | ბარნლი-სანდერლენდი | 2,6 | 3,0 | 2,35 | 1,39 | 1,23 | 1,31 |
| 17.00 | 054 | ქოვენტრი-კრისტალ პალასი | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,61 | 1,27 | 1,2 |
| 17.00 | 055 | კრიუ-ნორვიჩი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 17.00 | 056 | იფსვიჩი-კარდიფი | 1,4 | 3,6 | 7,0 | 1 | 1,16 | 2,37 |
| 17.00 | 057 | მილუოლი-ბრედფორდი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 17.00 | 058 | პრესტონი-შეფილდი | 3,0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 17.00 | 059 | სტოკი-ჯილინგემი | 2,3 | 3,2 | 2,3 | 1,33 | 1,15 | 1,33 |
| 17.00 | 060 | უოლსოლი-როტერჰემი | 1,55 | 3,6 | 4,6 | 1.08 | 1,15 | 2,01 |
| 17.00 | 061 | უოტფორდი-რედინგი | 2,8 | 3,4 | 2,2 | 1,53 | 1,23 | 1,33 |
| 17.00 | 062 | ვესტ ბრომვიჩი-ნოტინგემი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 17.00 | 063 | უიგანი-ვესტ ჰემი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 17.00 | 064 | უიმბლდონი-დერბი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 067 | ბრენტფორდი-ბორნმუთი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 068 | ბრისტოლი-ბლეკპული | 1,15 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,57 |
| 19.00 | 069 | ჩესტერფილდი-ლუტონი | 1,7 | 3,5 | 3,6 | 1,14 | 1,15 | 1,77 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-ოლდემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 071 | პიტერბრო-უიკომბი | 1,55 | 3,2 | 4,8 | 1,04 | 1,17 | 1,92 |
| 19.00 | 072 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 073 | რაშდენი-პორტ ვეილი | 2,45 | 3,6 | 2,2 | 1,45 | 1,15 | 1,36 |
| 19.00 | 074 | უენსდი-ქუინზ პარკი | 4,0 | 3,5 | 1,65 | 1,86 | 1,16 | 1,12 |
| 19.00 | 075 | სტოკპორტი-ბარნსლი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 076 | სუინდონი-ჰარტლპული | 2,4 | 1,8 | 3,6 | 1,02 | 1,44 | 1,19 |
| 19.00 | 077 | ტრანმერი-გრიმსბი | 2,25 | 3,6 | 2,25 | 1,38 | 1,12 | 1,38 |
| 19.00 | 078 | რექსემი-ბრაიტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 081 | ბერი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 082 | ჩელტენემი-ჰადერსფილდი | 4,2 | 3,6 | 1,6 | 1,93 | 1,15 | 1,1 |
| 19.00 | 083 | დონკასტერი-კარლაილი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,31 |
| 19.00 | 084 | ჰალი-როვერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,21 | 1,21 | 2,5 |
| 19.00 | 085 | კიდერმინსტერი-ბოსტონი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 086 | ლეიტონი-კემბრიჯი | 2,15 | 3,1 | 3,0 | 1,26 | 1,25 | 1,52 |
| 19.00 | 087 | ლინკოლნი-იოვილი | 2,2 | 3,4 | 2,4 | 1,33 | 1,14 | 1,4 |
| 19.00 | 088 | მენსფილდი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 3,4 | 2,4 | 1,33 | 1,14 | 1,4 |
| 19.00 | 089 | ოქსფორდი-როჩდეილი | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| 19.00 | 090 | სკანთორპი-დარლინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 091 | საუთენდი-ტორკი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 19.00 | 092 | სუონსი-იორკი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 16.30 | 100 | სელტიკი-რეინჯერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 101 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 102 | დანდი-კილმარნოკი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 103 | ჰართსი-დანფერმლაინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 104 | მიზერველი-დანდი იუნაიტედი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 105 | ლივინგსტონი-პარტიკი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 108 | კლაიდი-ინვერნესი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 109 | ფოლკირკი-ეარი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 19.00 | 110 | რეითი-ბრეჩინი | 1,6 | 3,1 | 4,8 | 1,05 | 1,2 | 1,88 |
| 19.00 | 111 | როსი-ქუინი | 2,1 | 3,4 | 2,9 | 1,29 | 1,21 | 1,56 |
| 19.00 | 112 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 114 | ალოა-ერდრი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| 19.00 | 115 | არბროთი-დამბარტონი | 2,25 | 3,4 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,47 |
| 19.00 | 116 | ისტ ფაიფი-ფორფარი | 1,95 | 3,4 | 3,0 | 1,23 | 1,18 | 1,59 |
| 19.00 | 117 | ჰამილტონი-ბერიკი | 1,4 | 4,0 | 6,0 | 1,03 | 1,13 | 2,4 |
| 19.00 | 118 | მორტონი-სტენჰაუსმური | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 19.00 | 120 | ალბიონი-კოუდენბითი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 19.00 | 121 | ელგინი-ქუინზ პარკი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 19.00 | 122 | გრეტნა-პიტერჰედი | 2,2 | 3,4 | 2,7 | 1,33 | 1,21 | 1,5 |
| 19.00 | 123 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 19.00 | 124 | სტირლინგი-სტრანრარი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 18.30 | 016 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.30 | 017 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 018 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 18.30 | 019 | ბაიერნი-ვერდერი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 020 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |
| 18.30 | 021 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 022 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 20.30 | 023 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 20.30 | 024 | ჰანზა-მიუნხენი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **7 მაისი** | | | | | | | | |
| 22.00 | 128 | ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 22.00 | 129 | მაინცი-უნტერჰახინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 18.00 | 130 | ფიურტი-არმინია | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 18.00 | 131 | ალენი-უნიონი | 1,6 | 3,4 | 4,6 | 1,08 | 1,18 | 1,95 |
| 18.00 | 132 | კარლსრუე-ტრირი | 2,0 | 2,9 | 3,6 | 1,18 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 133 | კოტბუსი-ლიუბეკი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 18.00 | 134 | აუე-დუისბურგი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| **10 მაისი** | | | | | | | | |
| 23.15 | 135 | ობერჰაუზენი-ალემანია | 2,25 | 3,3 | 2,8 | 1,33 | 1,24 | 1,51 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **7 მაისი** | | | | | | | | |
| 21.30 | 138 | ვერდერი(მ)-ვატენშაიდი | 1,9 | 3,3 | 3,0 | 1,2 | 1,16 | 1,57 |
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 17.00 | 139 | ურდინგენი-მიუნსტერი | 1,95 | 3,4 | 2,6 | 1,23 | 1,11 | 1,47 |
| 17.00 | 140 | ქემნიცი-ესენი | 3,3 | 3,3 | 1,95 | 1,65 | 1,22 | 1,22 |
| 17.00 | 141 | პადერბორნი-კილი | 1,55 | 3,6 | 4,8 | 1,08 | 1,17 | 2,05 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 17.00 | 144 | შალკე(მ)-ჰამბურგი(მ) | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| 17.00 | 145 | ლაიპციგი-დინამო | 4,0 | 3,5 | 1,6 | 1,86 | 1,14 | 1,09 |
| 17.00 | 146 | კიოლნი(მ)-ზტ.პაული | 2,05 | 3,3 | 3,0 | 1,26 | 1,21 | 1,57 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **7 მაისი** | | | | | | | | |
| 22.00 | 149 | კიკერსი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 22.30 | 150 | ერფურტი-ვეენი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 22.30 | 151 | ზიგენი-აუგსბურგი | 3,4 | 3,4 | 1,75 | 1,7 | 1,15 | 1,15 |
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 17.30 | 152 | ოფენბახი-ფოიხტი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 17.30 | 153 | შვაინფურტი-მაინცი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 17.30 | 154 | ზაარბრიუკენი-შტუტგარტი(მ) | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 17.00 | 155 | აალენი-ფულენდორფი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 18.00 | 157 | ბაიერნი(მ)-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1.18 | 1,21 | 1,69 |

### იტალია. სერია A. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 18.00 | 025 | ანკონა-ემპოლი | 7,0 | 4,0 | 1,1 | 2,54 | 1 | 1 |
| 18.00 | 026 | ბრეშა-ლაციო | 6,0 | 3,8 | 1,15 | 2,32 | 1 | 1 |
| 18.00 | 027 | ბოლონია-ლეჩე | 2,1 | 2,5 | 4,4 | 1.14 | 1,42 | 1,59 |
| 18.00 | 028 | ინტერი-პარმა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 18.00 | 029 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 3,1 | 4,6 | 1,09 | 1,24 | 1,85 |
| 18.00 | 030 | მოდენა-სიენა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 18.00 | 032 | რომა-პერუჯა | 1,65 | 3,5 | 3,0 | 1,12 | 1,06 | 1,61 |
| 18.00 | 033 | უდინეზე-კიევო | 1,4 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,13 | 2,21 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 23.00 | 034 | სელტა-ბარსელონა | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1.69 | 1,25 | 1,22 |
| 01.00 | 035 | რეალი-მალიორკა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1.13 | 3,04 |
| **9 მაისი** | | | | | | | | |
| 20.30 | 036 | ბილბაო-ალბასეტე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 20.30 | 037 | სარაგოსა-ოსასუნა | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 20.30 | 038 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1.54 |
| 20.30 | 039 | მალაგა-მურსია | 1,2 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,66 |
| 20.30 | 040 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 20.30 | 041 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 22.30 | 042 | სევილია-ვალენსია | 3,3 | 3,1 | 2.15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| 00.30 | 043 | რასინგი-ატლეტიკო | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 მაისი** | | | | | | | | |
| 20.15 | 209 | პსჟ-რენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1.11 | 3,33 |
| 23.00 | 210 | ოსერი-აიაჩო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.00 | 211 | ბასტია-სტრასბური | 2.1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| 23.00 | 212 | გენგამი-ლე მანი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 213 | ლილი-ბორდო | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 214 | მეცი-ლიონი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 23.00 | 215 | მონპელიე-ნიცა | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.00 | 216 | სოშო-ლანსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1.09 | 1,22 | 2,1 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 217 | ტულუზი-ნანტი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 218 | მონაკო-მარსელი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 255 | როზენდალი-ფეიენოორდი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 17.30 | 256 | ზვოლე-ტილბურგი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 17.30 | 257 | აიაქსი-ბრედა | 1,2 | 5,0 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,57 |
| 17.30 | 258 | როდა-ვიტესი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 17.30 | 259 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 17.30 | 260 | უტრეხტი-გრონინგენი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 17.30 | 261 | ვალვაიკი-ტვენტე | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 262 | პსვ-დენ ჰააგი | 1,22 | 4.6 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,24 |
| 17.30 | 263 | ნაიმეგენი-ვოლენდამი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 278 | სერკლი-ანდერლეხტი | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 23.00 | 279 | გენკი-ვესტერლო | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.00 | 280 | ლიერსი-ჰეუსდენი | 2,2 | 3,3 | 2,4 | 1,32 | 1,14 | 1,38 |
| 23.00 | 281 | მონსი-ბრიუგე | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 23.00 | 282 | სტანდარდი-შარლერუა | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,09 |
| 23.00 | 283 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.00 | 284 | გენტი-ლოკერენი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 285 | ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი | 1,5 | 3,6 | 4,6 | 1,05 | 1,13 | 2,01 |
| 23.00 | 286 | ლუვიე-ბევერენი | 1.75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 316 | ბაზელი-სტ.გალენი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 22.30 | 317 | გრასჰოპერი-თუნი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 22.30 | 318 | სერვეტი-აარაუ | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1,2 | 2,05 |
| 22.30 | 319 | ვილი-ციურიხი | 2,05 | 3,3 | 3,0 | 1,26 | 1,21 | 1,57 |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 19.15 | 320 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1,55 | 3,6 | 4,4 | 1,08 | 1,14 | 1,98 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. VI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 359 | სუნდსვალი-ელფსბორგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 17.00 | 360 | ოერგრიტე-კალმარი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.00 | 361 | ჰალმსტადი-ლანდსკრონა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 362 | ჰამარბი-ტრელებორგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 22.00 | 363 | ჰელსინგბორგი-გოტებორგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 364 | იურგორდენი-ორებრო | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 376 | ჰამარი-ლინი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 21.00 | 377 | სტაბეკი-ბოდოე გლიმტი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 21.00 | 378 | მოლდე-ლილესტრომი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.00 | 379 | ოდ გრენლანდი-ფრედრიკსტადი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 22.00 | 380 | სოგნდალი-ბრანი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 23.15 | 381 | ვალერენგა-ვიკინგი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 382 | ტრომსოე-როზენბორგი | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. V ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 385 | სკეიდი-სტრომსგოდსეტი | 2,15 | 3,6 | 2,6 | 1,34 | 1,17 | 1,5 |
| 21.00 | 386 | სტარტი-რაუფოსი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 21.00 | 387 | ალესუნდი-მანდალი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 21.00 | 388 | ბრინი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 21.00 | 389 | ჰაუგესუნდი-ჰორს გრენლანდი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 21.00 | 390 | ჰონეფოსი-ტრომსდალენი | 1,6 | 3,8 | 4,4 | 1,12 | 1,17 | 2,03 |
| 21.00 | 391 | კონგსვინგერი-ჰოდდი | 1,55 | 3,8 | 4,8 | 1,1 | 1,17 | 2,12 |
| 21.00 | 392 | მოსი-სანდეფიორდი | 2,35 | 3,5 | 2,4 | 1,4 | 1,18 | 1,42 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 396 | ტურკუ-ჰკ | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,62 | 1,23 | 1,24 |
| 20.30 | 397 | ჰაკა-იარო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 20.30 | 398 | ჰაამეენლინა-როვანიემი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 20.30 | 399 | ჯაზი-ტამპერე | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 20.30 | 400 | კტპ-მიუპა | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| 20.30 | 401 | ლაჰტი-ტპ 47 | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 412 | შემროკი-შელბურნი | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| 23.45 | 413 | ბოჰემიანი-ლონგფორდი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 23.45 | 414 | დროგედა-უოტერფორდი | 2,3 | 3.2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 415 | დერი-სტ.პატრიკსი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 17.25 | 448 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 2,0 | 3,0 | 3,1 | 1,2 | 1,21 | 1,52 |
| 17.25 | 449 | ზლინი-პრჟიბრამი | 1,9 | 2,9 | 3,2 | 1,14 | 1,19 | 1,52 |
| 17.25 | 450 | ბრნო-სიგმა | 2,3 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,26 | 1,44 |
| 17.25 | 451 | ბლშანი-ოპავა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 17.25 | 452 | პლზენი-ბუდეიოვიცე | 2,6 | 3,0 | 2,2 | 1,39 | 1,19 | 1,26 |
| 17.25 | 453 | სლავია-ლიბერეცი | 1,3 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,08 | 2,47 |
| 17.25 | 454 | ბანიკი-სპარტა | 2,5 | 2,9 | 2,5 | 1,34 | 1,25 | 1,34 |
| 17.25 | 455 | ჟიჟკოვი-სინოტი | 1,45 | 3,6 | 4,4 | 1,03 | 1,09 | 1,98 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 458 | ინტერი-რუჟომბეროკი | 2,3 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,26 | 1,44 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 617 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2,45 | 3,0 | 2,7 | 1,34 | 1.28 | 1,42 |
| | | **სლოვაკეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 621 | პეტრჟალკა-ლიპტოვცე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 1023 | ტამპა ბეი-ფილადელფია | 1.9 | 3,5 | 3.1 | 1,23 | 1,17 | 1,64 |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 01.00 | 1024 | სან ხოსე-კალგარი | 1,7 | 3,6 | 3,6 | 1.15 | 1,15 | 1.8 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 1123 | ტაუ-ხუვენტუდი | 1,17 | 10,0 | 3,6 | 1,04 | 1 | 2.64 |
| 23.30 | 1124 | ბარსელონა-ფუენლაბრადა | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1.03 | 1 | 2.85 |
| 23.30 | 1125 | ვალენსია-უნიკახა | 1.25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2.36 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5206 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 5207 | ევერტონი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ლიდსი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 5209 | ლესტერი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5210 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5211 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |
| 5213 | ბირმინგემი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 5214 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ფულემი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5216 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5217 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5219 | ბაიერნი-ვერდერი | 1,9 | 1,7 |
| 5221 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | მიონხენგლადბახი-შალკე | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5228 | ინტერი-პარმა | 1,95 | 1,65 |
| 5230 | მოდენა-სიენა | 1,65 | 1,95 |

## 1 ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5006 | მანჩესტერი-ჩელსი | 2.6 | 2.05 | 3.8 | 1.14 | 1.54 | 1.33 |
| 5007 | ევერტონი-ბოლტონი | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5008 | ლიდსი-ჩარლტონი | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 5009 | ლესტერი-პორტსმუთი | 2.9 | 2.05 | 3.4 | 1.2 | 1.56 | 1.27 |
| 5010 | მიდლსბრო-სიტი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5011 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 2.05 | 2.7 | 1.3 | 1.54 | 1.16 |
| 5012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5013 | ბირმინგემი-ლივერპული | 4.2 | 2.05 | 2.4 | 1.37 | 1.52 | 1.1 |
| 5014 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1.35 | 3.2 | 7.5 | 1 | 1.14 | 2.24 |
| 5015 | ფულემი-არსენალი | 4,4 | 2.05 | 2.35 | 1.53 | 1.53 | 1.17 |
| 5016 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.0 | 2.15 | 5.3 | 1.03 | 1.45 | 1.52 |
| 5017 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2.2 | 2.1 | 4.8 | 1.07 | 1.5 | 1.46 |
| 5018 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,6 | 2.05 | 2.7 | 1.3 | 1.54 | 1.16 |
| 5019 | ბაიერნი-ვერდერი | 2,2 | 2,1 | 4.8 | 1.07 | 1.5 | 1.46 |
| 5021 | ჰერტა-დორტმუნდი | 3.1 | 2.05 | 3.1 | 1.23 | 1.55 | 1.23 |
| 5022 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5023 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.8 | 2.25 | 6.0 | 1 | 1.38 | 1.63 |
| 5028 | ინტერი-პარმა | 2.35 | 2.05 | 4.6 | 1.09 | 1.55 | 1.41 |
| 5030 | მოდენა-სიენა | 2.5 | 1.95 | 4.4 | 1.09 | 1.59 | 1.35 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5106 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5107 | ევერტონი-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5108 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5109 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5111 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5112 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ბირმინგემი-ლივერპული | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5114 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |
| 5115 | ფულემი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5116 | კ.ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,8 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5117 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5119 | ბაიერნი-ვერდერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5121 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5122 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5123 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5128 | ინტერი-პარმა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5130 | მოდენა-სიენა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფორმულა 1. ესპანეთი. 8 მაისი

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,45 | 1,07 | 1,03 | 1,6 |
| ბარიკელო | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 3,5 | 1,2 | 8,0 |
| კულტჰარდი | 50,0 | 10,0 | 1,5 | 20,0 |
| რაიკონენი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| ტრული | 25,0 | 5,0 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 10,0 | 2,3 | 1,15 | 7,0 |
| ბატონი | 6,0 | 1,55 | 1,1 | 4,0 |
| სატო | 35,0 | 7,0 | 1,55 | 20,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| მასა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| უებერი | 75,0 | 12,0 | 2,3 | 30,0 |
| კლიენი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5506 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ევერტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბირმინგემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ფულემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბაიერნი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ინტერი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | მოდენა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებულ ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| თბილისი | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| თბილისი | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| თბილისი | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| თბილისი | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| თბილისი | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| თბილისი | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| თბილისი | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| თბილისი | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| თბილისი | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| თბილისი | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| თბილისი | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| თბილისი | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| თბილისი | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| თბილისი | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| ქუთაისი | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| ქუთაისი | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

### სტუ-შევარდენი 50:25 საუ-მამული

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, კობახიძე (გაიტანა 23 გოლი), ნიკოლაიშვილი (6), ქობელაშვილი (5), ნადირაძე (5), კალანდაძე (4), ჩუბინაშვილი (3), ყიფიანი (3), ჯიშკარიანი (1), გუჯეჯიანი, სეთურიძე, არაბული, სიხარულიძე, სიამაშვილი

**საუ-მამული:** ხონელიძე, დ. ბერიკაშვილი, კობახიძე (6), შონია (4), წივწივაძე (3), ცოტაძე (2), ზაქარიაშვილი (2), ლაღანიძე (2), სიხარულიძე (2), ჭელიძე (1), ჭაფოძე (1), ო. ბერიკაშვილი (1), ხუციშვილი (1), ოსიყმაშვილი

*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

### თბილისი 28:26 მართვე

**თბილისი:** გონჩაროვი, სამარლანიშვილი (13), ჩხაიძე (5), ურუშაძე (4), ფორაქიშვილი (3), აბულაძე (1), რუხაია (1), სიორიძე (1), ხურციძე, ჟღენტი

**მართვე:** სამყურაშვილი, ბიჩინაშვილი, კვერნაძე (9), სხიერელი (7), ქირია (3), აგლაძე (2), დარჩიაშვილი (2), გრიშიკაშვილი (2), სიგუა (1), ბერძენიშვილი, საჯაია, მსხვილიძე, ჯორბენაძე, ცერცვაძე

*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

# ბებერი ხარები ხარობენ



ბადრი ქათილიშვილის ფოტო

„თბილისმა“ და „მართვემ“ ბოლომდე ჯიგრით იბრძოლეს

გუშინ არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ერთი უინტერესო და ერთიც საინტერესო მატჩი ვიხილეთ.

საქართველოს 13-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენს“ აგრარული უნივერსიტეტის „მამულმა“ ზუსტად სანახევრო წინააღმდეგობა გაუწია. ჩემპიონთა უპირატესობა მეტოქეებზე იმდენად დამთრგუნველია, რომ თამაშებს მათი მონაწილეობით მისხალი სიმწვავეც არ ახლავს. ვფიქრობთ, თავად ხელბურთელებსაც მაინცდამაინც არ ეპიტნავებათ 17, 21, 25-ბურთიანი სხვაობით მოგება. გუშინდელ შეხვედრაში მხოლოდ ისაა აღსანიშნავი, რომ ტექნიკოსთა ტექნიკურმა ფორვარდმა მამია კობახიძემ მამულელებს 23-ჯერ გაუტანა, სამ თამაშში 49 გოლი დაუგროვდა და ერთითღა ჩამორჩება სნაიპერთა ლიდერ ალეკო ბოყოჩაძეს.

იმედისმომცემი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „მართვე“. ეგაა, ბიჭებს ჯერ სატურნირო გამოცდილება აკლიათ და სწორედ ეს გახდა მათი ზედიზედ მეორე წაგების მიზეზი. „ქუთაისთანაც“ და გუშინ, შარშანდელ ვიცეჩემპიონ „თბილისთან“ მართვეები ორბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ. არადა, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, ორივე მატჩი თავიანთ სასარგებლოდ რომ დაესრულებინათ.

„თბილისი“ მეორე ტაიმში რვა ბურთით დაწინაურდა — 23:15 და საქმეც მოთავებული ჩანდა. მაგრამ ათიოდ წუთში ამხელა უპირატესობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ბოლო წუთზე ირაკლი სიგუამ ჩამორჩენა ორ ბურთამდე შეამცირა და ვითარებაც დაიძაბა. თბილისელთა მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ მაშინვე წუთშესვენება აიღო, თავისიანები დაამშვიდა და გუნდმაც სასურველი შედეგი შეინარჩუნა.



ბადრი ქათილიშვილის ფოტო

ჯემალ ცერცვაძე 65 წლისაა

კვლავ გამოირჩა შედეგიანობით 20 წლის ლაშა სამარლანიშვილი. აღსანიშნავია აგრეთვე „თბილისის“ ვეტერანთა მონდომებული, ოსტატური თამაშიც. გუნდში ყველაზე ხნოვანებმა, 31 წლის იაგო ჩხაიძემ და მისკბილა ბათუმელმა ზურაბ ურუშაძემ ერთად ცხრა გოლი მიითვალეს. საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათზე ორი წლით უმცროსმა ლევან სიორიძემაც.

დღეს ლეგენდარული ქართველი ხელბურთელი, გასული საუკუნის 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ჯემალ ცერცვაძე 65 წლის შესრულდა.

გულითადად ვულოცავთ ბატონ ჯემალს დაბადების დღეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და მომავალშიც ისეთივე სიმხნევეს, ამჟამად რომ გამოირჩევა.

**გია ახალაძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 3 | 0 | 0 | 138:75 | 6 |
| თბილისი | 2 | 0 | 1 | 84:86 | 4 |
| საუ-მამული | 1 | 0 | 2 | 88:107 | 2 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 2 | 90:113 | 2 |
| მართვე | 1 | 0 | 3 | 123:142 | 2 |



### მასტერსის სერია
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

**მეორე წრე** *5 მაისი*

**ტიმ ჰენმანი (4, ბრიტანეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:1; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:5, 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 6:2, 5:7, 6:2**

# კლაისტერსმა გაიჭრიალა
# მალე გავიჭრები

ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს ჩოგანი ალბერტ კოსტამ რომ დააშალითებინა, გუშინვე გაუწყებდით. ამ ინფორმაციას ახლა მხოლოდ ერთ ფაქტს დავურთავთ. საქმე ისაა, რომ კოსტას, ვისაც რომაულ მასტერსობაზე 2002 წელს უპირველია, ხოლო 1998-ში ფინალში დამარცხდა, ამქრის ვინგ-ნდავინ პირველოსნისთვის აქამდე არასოდეს მოეგო — რეიტინგსიის სათავეში მდგომ ხალხთან ხუთჯერ ეპაექრა და ხუთჯერვე ¿ამარცხებულიყო.

ფედერერის, როდიკისა და შუტლერის გავარდნის შემდეგ ტურნირს მთავარგანთესილად დაურჩა ბრიტანელი ტიმ ჰენმანი. დახვეწილმა კუნძულელმა მეორე წრეში რადეკ სტეპანეკს გადაუარა და ხუთი წლის განმავლობაში პირველად უწია მესამე წრეს. იქ ის არგენტინელ მარიანო საბალეტას შეხვდება, ვინაც თავის მხრივ შარშანდელ (ძალზედ მოულოდნელ) ჩემპიონ ფელიქს მანტიას მოუგო.

### LADIES GERMAN OPEN
ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:4; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:1, 6:2; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5, 6:3; ანასტასია მისკინა (4, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2, 6:4; ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:2; აი სუგიამა (8, იაპონია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:2; ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) — ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) 6:1, 6:7 (2:7), 6:1; სვეტლანა კუზნეცოვა (10, რუსეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:2, 6:0; პაოლა სუარესი (11, არგენტინა) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:4, 6:3; პატი შნიდერი (13, შვეიცარია) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:3, 6:4; ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (16, ისრაელი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 1:6, 6:4, 6:1; მარია შარაპოვა (17, რუსეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 5:4 მანდულამ შეწყვიტა მარჯვენა მხრის ტრავმის გამო**



REUTERS

კიმ კლაისტერსი კორტებს და ქომაგებს დაუბრუნდა

ბერლინურ თიხნარტურნირზე იმ დღიდან საქმეში ზორბა განთესილებიც ჩაებნენ და — აქვე წარმოდგენილი ანგარიშებიდანაც დაატყობდით — მათი აბსოლუტური უმრავლესობა მომდევნო წრეში დაბინავდა.

გოგონებს მაგალითი მისცა პირველ ნომრად განთესილმა კიმ კლაისტერსმა, ვინაც შვიდკვირიანი ტრავმიანობის შემდეგ დიდ კორტს მხოლოდ ორი კვირის წინ, ხორვატებთან საფედთასოდ მოუბრუნდა.

ლეიტონის ჩათქვირული გოგო ცოტა მოჟანგული ჩანს და ამიტომ მარტა მარეროსთან სამსეტიანი ბუქნაობისას შიგადაშიგ უპატიებლად რომ მიჰქარავდა, გასაკვირი არაფერია. ეგ მით უფრო, რომ მტკივანი მარცხენა მაჯა მას ჯერ კიდევ ვერაგულად უჩმახუნებს. სწორედ ამ მაჯის გამოა, კიმი უახლოეს დროში დიდ გამარჯვებებს რომ არ გეგმავს და სასურველ, მეყუმბარე ფორმაში შესვლას მხოლოდ უიმბლდონისთვის ვარაუდობს.

კორტს ასევე დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ მოუბრუნდა რუსგოგოთაგან უსაჩინოესი ანასტასია მისკინა. კოხტა ტასოს მარცხენა ტერფის ტრავმა აწუხებდა, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზეა და რუს წიწკვთა ატამანშის როლს ის დასტურ ხალისიანად თამაშობს.

სხვაფრივ — ბობოლათაგან თავისი ზედიზედ მეთორმეტე გამარჯვება მიითვალა ვინუს უილიამსმა, ამელი მორესმომ კი უსახელო არგენტინელი ხისელა დულკო გაჯოკრა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS

ვინუს უილიამსი ფორმას კრეფს

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი
### ნახევარფინალი. ორ მოგებამდე



ანატოლი ბოისამ თავადაც გაიხარა და აჭარაც გაახარა




დავით ბერძენიშვილის და არმენ ოგანესიანის ფარქვეშა ჭიდილი

# აჭარაში ვიზეიმებთ!
# ბასკომ ბათუმი დაინახა

**ბასკო 2:1 სტუ**

23 აპრილი. რუსთავი

**ბასკო 75:62 სტუ**

18:18 22:19 15:11 20:14

**ბასკო:** ი. ბერიშვილი (10), ბოისა (11), კეშელავა (19), ტუჯანი (10), ბერძენიშვილი (13); კვიმსაძე (8), იმნაძე (4), როდუმტა, მაისურაძე

**სტუ-ჯეოსელი:** ნიკოლაძე (9), ხეცურიანი (12), დავითულიანი (10), ბაბიაშვილი (6), ოგანესიანი (8); შანიძე (9), ახალკაცი (4), მარკოიშვილი (4), გაგნიძე, მიქაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ირაკლი პერტაია**

„ეს გამარჯვება იმ დიდი გამარჯვების ნაწილია, ბათუმელებმა წუხელ რომ იზეიმეს" — თქვა „ბასკოს" მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა „სტუ-ჯეოსელთან" წარმატებით გადატანილი ფიცხელი ბრძოლის შემდეგ. მართლაც, „ბასკოს" კალათბურთელების თბილისური გამარჯვება იმ სიხარულის თავისებური გამოძახილად ჩაითვლება, რომელიც ბათუმში სუფევდა წუხელ ასლან აბაშიძის „ტახტიდან" ჩამოგდების გამო.

მაშ ასე, შარშანდელი ფინალი განმეორდა — შარშანდელი ჩემპიონი „დინამო" მანამდე ზედიზედ სამჯერ გაპირველებული „ბასკოს" წინააღმდეგ.

წუხელ და დღეს მომხდარი ამბები ბედის სასიამოვნო ირონიად ჩაითვლება „ბასკოსთვის". ორიოდ თვის წინ ეს გუნდი ფაქტობრივად დაიშალა, მოთამაშეებმაც კლუბები უკვე შეარჩიეს, მერე კი მხოლოდ იმიტომ დარჩნენ ერთად, რომ ფედერაციამ მათ გუნდის გამოცვლის უფლება არ მისცა. რადა უსაქმოდ ვიყოთო, ბიჭები ერთ მუშტად დარჩნენ და უხელფასოდ და დამადლებულ სავარჯიშო პირობებში გააგრძელეს თამაში. ახლა კი ყველაფერი მათ სასიკეთოდ შეტრიალდა — წუხელ „ბაბუს" ჩამოგდებით აჭარაში სიმშვიდე ჩამოვარდა, დღეს კი „ბასკომ" „სტუ-ჯეოსელი" დაამარცხა ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში და ფინალის მშობლიურ ქალაქში მასპინძლობის ჩინებული პერსპექტივაც გადაეშალა.

მოკლედ, გუშინ ვერის ბაღში მომხდარმა ამბავმა ჩემპიონატს გვარიანი ინტრიგა შემატა. „დინამოს" ხომ ბათუმში თამაში ყოველთვის უჭირდა. ამავდროულად ბრაიკოვიჩის გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს და ბრძოლაც ისეთი გაჩაღდება, თქვენი მოწონებული.

საკუთრივ გუშინდელი შეხვედრაც არ ყოფილა ნაკლებ სასეირო. დამუხტულ მატჩში გამარჯვებული ბოლო წუთებზე გამოვლინდა. დებიუტში, როგორც პრინციპულ მატჩებს ჩვევია, გუნდები ერთმანეთს ზვერვით იყვნენ დაკავებული და სურდათ, მეტოქის სუსტი წერტილი მოენიშნათ.

გიოგი ნიკოლაძე და შიო ხეცურიანი სულ ჩასაფრებულები იყვნენ და იმ მომენტში მოახერხეს გალაღება, როცა მათ „სტუ-ჯეოსელს" გაუჭირდა. ამ ტანდემის სწრაფ გარღვევებს ზვიად ბაბიაშვილი გამოეხმაურა ფარქვეშ შედეგიანი გარჯით და პირველი ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე სტუ 30:24 დაწინაურდა.

„ბასკოს" ჩამოსცხა, წუთშესვენება აიღო. კანდელაკმა მოედანზე სამარქაფო ბუბა კვიმსაძე გამოუშვა, რომლის ელვისებური გარღვევები მალე აღკვეთეს სტუდენტებმა და ბათუმელები ბედის ანაბარა დარჩნენ. ფარქვეშ გასაქანი არ ჰქონდათ, მეტოქის მწყობრი ცოცხალი ჯებირიც საიმედოდ იცავდა სტუ-ს ფარზე მისასვლელ გზებს. დარჩა ერთი გამოსავალი, სამქულიანები, რაშიც გაუმართლათ კიდეც ბათუმელებს — ლაშა კეშელავამ მიჯრით 3 სამქულიანი მიითვალა, ერთ-ერთს ზუსტი საჯარიმო სროლაც მიაბა და ტაიმის მიწურულს უკვე ზღვისპირელები დაწინაურდნენ — 40:37.

მეორე ტაიმში უკვე სტუ-მ განიზრახა მეტოქის ფარის საბოლოოდ დაპყრობა — დისკვალიფიცირებული ნუგზარ ჭეიშვილი თავკაცის თანაშემწე ნიკო ჩერქეზიშვილმა მოედანზე ოგანესიან-ახალკაცის ტანდემი შეუშვა. ამან შედეგი ვერ მოიტანა, „ბასკო" საიმედოდ ჩაიკეტა ზონაში, კონტრშეტევებით მესამე მეოთხედის საწყისი 4 წუთი 8:0 მოიგო და 48:40 დაწინაურდა.

წუთშესვენებაზე შეფუცხუნებული სტუდენტები მობილიზებულნი დაბრუნდნენ მოედანზე და იმავ ნიკოლაძისა და ხეცურიანის დახმარებით სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს. ამასობაში ბათუმელთა გამთამაშებელმა ირაკლი ბერიშვილმა მე-4 პერსონალური მიიღო, მისი ძმა დავითი მუხლის ტრავმის გამო არ თამაშობდა და „ბასკოს" რეალური საფრთხე დაემუქრა. თუმცა ამ დროს იმ გამონაკლისის ჯერიც დადგა, ბერძენიშვილი რომ ყოჩაღობდა და ბათუმელებიც გულდამშვენებულნი გავიდნენ ბოლო შესვენებაზე — 55:48.

ბოლო მეოთხედში „ბასკოს" თითქმის ყველა ლიდერმა ამოწურა თავისი ილაჯი და შესაძლებლობა, ერთი კამერუნელ ტუჯანის შერჩენოდა არაქათი და ისიც ვერ იყო იშტაზე. მიუხედავად ამისა, ბათუმელებმა სასწაული შეუპოვრობა გამოიჩინეს, თავდაუზოგავად იბრძოდნენ და მეტოქეს მიახლოების საშუალება არ მისცეს. „ბასკო" ბევრს ვერ აგდებდა, მაგრამ მედგრად იდგა დაცვაში და სტუდენტებს გასაქანს არ აძლევდა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ანატოლი ბოისას შეუპოვრობა, რომელიც ჯერ არ გვიხსენებია, მაგრამ გამარჯვებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ევროპაში სახელგავარდნილ ძმასთან შედარებით პატარა და ტანმოკლე ბოისა როცა მოედანზე იყო, ტოლს არავის უდებდა, ფარქვეშ მრავალი ბურთი ჩაჭრა და როცა გუნდს დასჭირდა, გადამწყვეტი ბურთებიც ჩააგდო. სირენამდე 4 წუთით ადრე მან საჭირო სამქულიანი გაისროლა და „ბასკო" 10 ქულით დააწინაურა.

ტოლიკა მერეც არაერთხელ გამოირჩა. მას კვიმსაძეც წაეშველა და „ბასკოს" ჭაბუკებმა შანსი არ დაუტოვეს შანიძის ჩუბინობის იმედად დარჩენილ სტუდენტებს.

„ბასკომ" დამსახურებულად გაიმარჯვა ალალ, ნაღდ ბრძოლაში. ბათუმელებს ალბათ ის იდუმალი ძალაც დაეხმარათ, წუხელ ასლან აბაშიძე რომ გააქცია რუსეთში.

**ფინალი**

**ბასკო vs დინამო**

სამ მოგებამდე





დისკვალიფიცირებული ნუგზარ ჭეიშვილის ნაცვლად სტუ-ს ნიკო ჩერქეზიშვილმა უთავკაცა

# 2004 NBA Playoffs

# პარკერმა გარეკა ლეიკერსს დაურეკეს

——— 5 მაისი ———

**დასავლეთი**

**სან ანტონიო 2:0 ლეიკერსი**

**სან ანტონიო 95:85 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** პარკერი (30), თურქოღლუ (9), ბოუენი (4), დანკანი (24), ნესტეროვიჩი (9); ჯინობილი (15), ჰორი (3), ბოუენი (1), ჰარტი, ვილისი
**ლეიკერსი:** პეიტონი (7), ბრაიანტი (15), ჯორჯი (3), მელოუნი (13), ონილი (32 ქულა, 15 მოხსნა); ფიშერი (9), მედვედენკო (6), რაში, ფოქსი, უოლტონი

გაგონილა? ამხელა „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ დღისით, მზისით ეუბნებიან, შენი მზე ჩაესვენაო. უარესებიც გაგონილა, უკეთესებიც დაჩიავებულან და გერი პეიტონზე დიდებიც დაბერებულან.

„სან ანტონიო სფურზი“ „ლეიკერსს“ ზედიზედ მეორედ გააგდებს პლეი ოფიდან და ერთი კაცის ბოღმასაც გააყოლებს. კაციც არ ეთქმის, ჯერ ბიჭია და ეს ნამდვილად არ გახლავთ ტიმ დანკანი. „ლეიკერსს“ სხვა უშრობს სისხლს და ამ ნაბუმბერაზალი გუნდისთვის ერთი-ორად საწყენი ისაა, რომ ეს წურბელა ვიღაც 21 წლის 188-სანტიმეტრიანი ლაწირაკი ტონი პარკერია. თანაც ფრანგია.

ცალი ხელ-ფეხით სიბერეში გადამდგარმა გერი პეიტონმა იმიტომ მიაგდო 10-მილიონიანი კონტრაქტი და „ლეიკერსში“ ამის ნახევარზე თამაშს იმიტომ დათანხმდა, რომ 13 წელი ფუჭად სირბილი მობეზრდა და იქ გადასვლით სანუკვარი საჩემპიონო ბეჭდისკენ მიჩოჩდა. ახლა კი ეს გამწლაკული ტონი პარკერი თუ არ ეუბნება, ხომ აგრძნობინებს — რაც მილიონები გიხვეტია, ჯიბეში შეინახე და შენი ჩავლილი მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტიო.

სერიის პირველ მატჩში პარკერმა პეიტონს პირადი დავა 20:4 მოუგო და მეორე თამაშიც ჩაუმუქ-ჩაუსკვარამა. გუშინწინ პეიტონმა პარკერის გუნდს 7 ქულა ჩაუგდო, პარკერმა პეიტონისას — 30.

„არა, რაღაც უნდა მოვუხერხოთ, თორემ ჩვენი ბიჭები გერი და დერიკ ფიშერი ვერ დასდევენ — შუბლშეჭმუხნული ამბობს შაკილ ონილი — ის ძალიან სწრაფია მათთვის“.

„ლეიკერსმა“ ძალიან ბევრი იწვალა, რათა პირველ ნახევარში გაჩენილი 19-ქულიანი სხვაობა ამოევსო. კობი ბრაიანტმა მესამე მეოთხედში როგორც იქნა, გაიღვიძა და მან და შაკილმა იმდენი მოახერხეს, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ორ ქულამდე წამოეწივნენ მეტოქეს — 78:80. პარკერმა კი ყველაფერი წყალში გადაუყარა. ფრანგმა სწრაფად შეაჯანჯღარა თავისიანები და „სან ანტონიოც“ თანდათან მოსწყდა მეტოქეს. გადამწყვეტი გამოდგა პარკერის თავხედური გარღვევა „ლეიკერსის“ ფარქვეშეთში. „სფურზის“ ცქვიტმა გამთამაშებელმა ჯერ დევინ ჯორჯს დააჩვია თავბარუ და მას რომ გამოექცა, ფარზე მარცხიდან მისულმა იქ მთასავით შემართულ შაკსაც გადააფარა ბურთი ლამის ტაბლოს სიმაღლემდე შემართულ ხელზე. „სან ანტონიო“ 88:80 დაწინაურდა და დარჩენილი ორიოდ წუთი მასპინძლებმა ოსტატურად გაიყვანეს.

„ჩვენ რთული სქემებით არ ვუტევთ მეტოქეს. ბიჭები აბსოლუტურად თავისუფლად თამაშობენ მეტოქის ნახევარზე. ვინ იცის, დღეს ტონის წაუვიდეს თამაში, ხვალ მანუს (ჯინობილი), ზეგ ჰედოს (ჰიდაიეთ თურქოღლუ)...“ — ამბობს „სფურზის“ მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი.

რაც შეეხება პოპოვიჩის მთავარ იარაღს ტიმ დანკანს, მასზე აბზაცების წერა დიახაც ღირს, მაგრამ სხვა დროს იყოს. ტიმი ნბა-ში ალბათ ყველაზე სტაბილური მოთამაშეა, ამ მატჩშიც 24 ქულა მიითვალა და ალბათ არც ორ ლოსანჯელესურ მატჩში დაალალატებს თავისიანებს.

**კოტე ყორშია**







ეს ვინ ყოფილა! ტონი პარკერი დევებს არ ეპუება



# სლოვენია გამარჯვებით, წინ უკრაინაა

**საქართველოს** წყალბურთელებმა კარგად დაიწყეს სოფიაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული გუნდების პირველობის შესარჩევი ტურნირი, სადაც მათთან ერთად ქვეჯგუფში არიან სლოვენიის, უკრაინის, ბულგარეთისა და კვიპროსის წარმომადგენლები. ჩვენი ბიჭები მათ ამავე თანმიმდევრობით ხვდებიან და ბოლოს ორი უძლიერესი საშემოდგომო გადამწყვეტ ბრძოლებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

ქართველმა ახალგაზრდებმა პირველი შეხვედრა სლოვენიელებთან გამართეს და დამაჯერებლად, 8:4 გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ სლოვენიის ნაკრები ჩვენს წყალბურთელებს ყველაზე ძლიერ მეტოქედ ესახებოდათ. საქართველოს ნაკრებმა სლოვენიელთა წინააღმდეგ შარშანდელ ანალოგიურ ტურნირშიც ითამაშა და 6:6 ფრეც გაახერხა.

სლოვენიელებთან ახლანდელ შეხვედრაში სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ საქართველოს ნაკრების გააზრებულ თამაშს, რომელიც იმპროვიზაციით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით გამოყოფენ მეკარე ზურაბ ჭუმბურიძის კარგ თამაშს, რომელიც მოსკოვის სსფ ცსკ-ს გუნდის წევრია.

გუშინ ჩვენი წყალბურთელები ისვენებდნენ, დღეს კი უკრაინელებს ხვდებიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



**მსოფლიოს ჩემპიონატი**

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

# ისწავლეთ ჰოკეი გერმანიაში!

## ჩეხებმა ამერიკელი აღმოაჩინეს

——— 5 მაისი ———

**ჩეხეთი 2:3 აშშ**
**0:0 2:1 0:1 0:0, ბულიტები 0:1**
**1:0 სკოულა (24), 2:0 იაგრი (27), 2:1 პარკი (31), 2:2 ვესტრუმი (52)**
**გადამწყვეტი ბულიტი: როუჩი**

იარომირ იაგრისა და ჩეხთა სხვა ნჰლ-ელ ვარსკვლავებს არ აწყენთ, არდადეგების დროს გერმანიაში ჩავიდნენ და ენდი როუჩისგან გაკვეთილები მიიღონ. მეცადინეობის პირველი თემა „ბულიტების გამოყენება“ იქნება.

ეს ხუმრობაა, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ამ მატჩის ბულიტების სერიაში იაგრმა, კიდევ ოთხმა ჩეხმა და ოთხმა ამერიკელმა გოლი ვერ გაიტანეს. ბულიტი ერთადერთმა ადამიანმა შეაგდო და ეს უცნობი გერმანულ კლუბ „შვენინგენის“ არანაკლებ უცნობი მოთამაშე, ამპლუით მცველი ენდი როუჩი გახლავთ. ეს ამერიკელთა ბოლო, მეხუთე ცდა იყო. როუჩმა მშვიდად წამოიღო შაიბა, ტომაშ ვოკოუნს რომ მიუახლოვდა, ჩინებული ფინტი შეასრულა, მეკარე ყინულზე დასვა და რეზინის დისკი მშვიდად შეაცურა კარში. ამან ისე გააოგნა ჩეხები, რომ როუჩის შემდეგ ბულიტის შესასრულებლად გამოსულმა გამოცდილმა იური დოპიტამ სრულიად უნიათოდ დაარტყა, კარს ააცილა და გათანაბრების შანსი დაკარგა. ასე გამოცხვა ტურნირის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია — ამერიკის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა. თუმც ეს მოულოდნელობა გუნდების რეიტინგიდან და მანამდე ნაჩვენები თამაშებიდან გამომდინარეობდა, თორემ თვით ამ შეხვედრაში ამერიკელებმა არაფერი დაუთმეს მრისხანე მეტოქეს, ხოლო თავგამოდებასა და სიმტკიცეში აჯობეს კიდეც.

თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ ჩეხებმა მეორე მესამედი ერთობ აქტიურად დაიწყეს და როცა იარომირ იაგრმა კართან ბრძოლაში ყველას აჯობა და სხვაობა გააორმაგა, საქმე მოთავებულად ჩაითვალა, ჩეხი კი — ჩემპიონად. თუმც ამერიკელებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ სულ სხვა ცომით არიან ნაზელნი და 31-ე წუთზე მეტ კალენის საუცხოო პასის შემდეგ რიჩარდ პარკმა ერთი გოლი გაქვითა. ამის მერე ყინულზე სულ სხვა თამაში გაჩაღდა. ჩეხებიც ოდნავ ანერვიულდნენ და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 52-ე წუთზე ერიკ ვესტრუმის უშნოდ დარტყმული იან ჰლავიჩმა პირდაპირ საკუთარ კარში ჩაჭრა. შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა, ხოლო დანარჩენი უკვე იცით.

**შვედეთი 4:1 ლატვია**
***3:0 0:0 1:1***
**1:0 ჰოგლუნდი (3), 2:0 ალფრედსონი (16), 3:0 ტარნსტრიომი (20), 3:1 იგნატიევსი (42), 4:1 აქსელსონი (50)**

მეორე მეოთხედფინალმა გაცილებით მშვიდად ჩაიარა და მოულოდნელიც არაფერი მომხდარა. ლატვიელთა ფანების საკმაოდ დიდმა, ყველაზე ხმაურიანმა ნაწილმა მეორე ეტაპის შემდეგ რატომღაც დატოვა პირველობა და მხარდაჭერას ჯერ შეჩვეულმა და მერე მოკლებულმა ბალტიისპირელებმაც ყურები ჩამოყარეს.

უკვე მე-3 წუთზე ისინი ორკაციან უმცირესობაში დარჩნენ და იონას ჰოგლუნდმა ეს არ აპატია. შემდეგ რიცხვმრავლობაში სულელური შეცდომა დაუშვეს, კონტრშეტევა გაეპარათ და არტურ ირბეს პირისპირ აღმოჩენილმა შვედების ლიდერმა ალფრედსონმა შანსი არ გაუშვა ხელიდან. ხოლო როცა მე-20 წუთზე დიკ ტარნსტრიომმა ზედიზედ ორი ჯარიმის გამო კიდევ ერთხელ დასაჯა მეტოქე, სულ დაიკარგა ინტრიგა. ამრიგად, ნახევარფინალში შვედეთი აშშ-ს დაეჯახება.

მატჩის შემდეგ სკანდინაველებმა სასიამოვნო ამბავი გაიგეს. სუპერვარსკვლავები, კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი და დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი უკვე მზად არიან ჩეხეთში ჩასასვლელად, რაც შვედეთს ტურნირის მთავარ ფავორიტად აქცევს, მით უმეტეს ჩეხების გავარდნის ფონზე.

**სამველ ღარიბიანი**

**წუხელ**
**კანადა 5:4 ფინეთი**
***0:2 3:1 1:1 1:0***
**სლოვაკეთი 3:1 შვეიცარია**
***0:1 2:0 1:0***



ამერიკელ ენდი როუჩს თავისიანები გადამწყვეტი შაიბის გატანას ულოცავენ



REUTERS ნიუ იორკიდან

# კაცების კრემი

ანა კურნიკოვა ნიუ იორკშია და კანის მაცოცხლებელი კრემების რეკლამას მისდევს. ეს კრემები საგანგებოდ კაცებისთვის დაუმზადებიათ და ანასაც რა ენაღვლება, ჩოგბურთში ერთი ტურნირი რაა, არ მოუგია, რეკლამის საქმეში კი ბევრი მოიგო.

# გამოცდა

სინქრონული ცურვის შეჯიბრებებში ალბათ, ყველაზე მოსაწყენი მონაწილეთა ტექნიკური მზადყოფნის შემოწმებაა. ეს წინასწარი გამოცდაა, ხოლო მოძღვრებიც მხოლოდ მსაჯები უმზერენ. მადრიდში ევროპის ჩემპიონატი იწყება და ფრანგი ვირჟინ დედჟა აწონებს თავს მსაჯულთ.



REUTERS მადრიდიდან



REUTERS ვაშინგტონიდან

# დონი და პრეზიდენტი

აი, სადამდე მიუღწევია გაქნილ პრომოუტერ დონ კინგს. რესპუბლიკელთა საარჩევნო შეხვედრაზე, სადაც ბუშის კამპანიის მცირე და დიდ დამფინანსებლებს მოეყარათ თავი, კინგიც იყო.

# შეჯიბრის წინ

პაკისტანში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შევხვდებიან ჯარისკაცები, თუმცა ყარაჩიში სპორტული შეჯიბრებაც ტარდება — კერძოდ, მოკრივეთა შესარჩევი ტურნირი, რომელიც მოახლოებული ოლიმპიადის მონაწილეებს გამოავლენს. ესენი ჩინელი მოკრივენი არიან, რომლებსაც ქუჩაში წავარჯიშება გადაუწყვეტიათ რეპორტიოთა გულის გასახარად.



REUTERS ყარაჩიდან



REUTERS პარიზიდან

# 100 დღე

ასი დღე დარჩა ათენის ოლიმპიადის გახსნამდე და ამ თარიღს პარიზში აღნიშნავენ. იქ ჩასულა ათენის მერი დორა ბაკოიანისი, რომელიც ფრანგთა პრეზიდენტ შირაკთან ერთად ჩართულა 100 დღის აღმნიშვნელ ღონისძიებაში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge